

საქართველოს კანონი

საქართველოს ტყის კოდექსი

პრეამბულა

საქართველოს ტყე ბუნებრივი გარემოს უმთავრესი ელემენტი და ქვეყნისთვის განსაკუთრებული ფასეულობის მქონე ბუნებრივი რესურსია. ის წარმოადგენს ქვეყნის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან საფუძველს. საქართველოს ტყე, მიუხედავად მისი საკუთრების ფორმისა, უნდა იმართებოდეს მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად ჩამოყალიბებული სისტემის საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, ბიომრავალფეროვნების დაცვას, ტყის ეკოლოგიური ფასეულობების გათვალისწინებით მისი ეკონომიკური პოტენციალის რაციონალურ გამოყენებას, ტყის მართვაში საზოგადოების მონაწილეობასა და ტყის რესურსებზე ხელმისაწვდომობას.

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კოდექსის მოწესრიგების სფერო

- ეს კოდექსი აწესრიგებს ტყის მართვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.
- ამ კოდექსის მიზანია:
 - საქართველოს ტყის ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვა, მისი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების განსახორციელებლად ტყის თვისებებისა და რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შენარჩუნება და გაუმჯობესება;
 - თვითმყოფადი ბუნებრივი და კულტურული გარემოს, მათ შორის, მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს, ტყეში არსებული კულტურისა და ბუნების ძეგლების, მცენარეთა

იშვიათი, გადაშენების პირას მყოფი სახეობებისა და სხვა ღირებულებათა მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება და მათი ურთიერთგავლენის ჰარმონიული რეგულირება;

გ) ტყის რესურსების მეცნიერულად დასაბუთებული და სხვა გამოკვლევით დადგენილი ბუნებრივი პოტენციალის მიზნობრივი და რაციონალური გამოყენება;

დ) ტყისმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს ტყის მდგრად მართვას.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კოდექსში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ტყე** - ტყის შემქმნელი მერქნიანი ერთი ან რამდენიმე სახეობით დაფარული მინიმუმ 10 მეტრი სიგანისა და არანაკლებ 0.5 ჰექტარი მიწის ფართობი, სადაც ხეთა ვარჯის შეკრულობა შეადგენს ფართობის მინიმუმ 20%-ს;

ა.ა) ტყეს ასევე მიეკუთვნება:

ა. ტერიტორიები, სადაც ტყის შემქმნელი სახეობები ბუნებრივი ან/და ანთროპოგენური მოვლენების შედეგად დროებით დეგრადირებული ან განადგურებულია;

ბ. დაცვითი ტყის ზოლი - ხეებისა და ბუჩქების მწკრივები ან რიგები, რომელთა უმთავრესი დანიშნულებაა ნიადაგის დაცვა ეროზიისაგან და თოვლის შეკავება;

გ. არიდული ტყე - ნათელი ტყე, სადაც ტენის სიმცირის ან/და სხვა ბუნებრივი პირობების გამო ხეთა ვარჯის შეკრულობა ბუნებრივად ვერ აღწევს 20%-ს;

დ. ტყის მიწები - ფართობები, რომლებიც ტყის ეკოსისტემის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს:

დ.ა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, რომლებიც მოიცავს სახნავებს, სათიბებს, სამოვრებს, ტყე-ბაღებს, ვენახებს;

დ.ბ. სპეციალური დანიშნულების მიწები, რომლებიც მოიცავს მკვრისაფარიან გზებს, ელექტრო და კავშირგაბმულობის სადენებს, ნავთობსადენებს, გაზსადენებს, წყალსადენებს და წიაღისეულის მიწის მინაკუთვნებს, ტბორებს, საგუბრებს, სამეურნეო ეზოებს;

დ.გ. მიწები, რომლებიც მოიცავს ტყეში არსებულ ჭაობებს, კლდეებს, რიყეებს და ტყის გაშენებისთვის სხვა გამოუყენებელ ფართობებს;

დ.დ. ტყესთან დაკავშირებული სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო ინფრასტრუქტურა - სატყეო გზები, ხე-ტყის დასაწყობების ადგილები და სხვა.

ა.ბ) ტყედ არ ითვლება ტყის კონტურის გარეთ არსებული:

ა. ბაღები, სკვერები და პარკები;

ბ. ხეთა ზოლები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი ამ კოდექსით ითვლება დაცვით ტყის ზოლად;

გ. ტერიტორიები, რომლებიც არ არის განთავსებული ტყეში და გამოიყენება მოკლევადიანი მონაცვლეობისათვის ტყის შემქმნელი მერქნიანი სახეობების გაშენებიდან ოცდაათ წლამდე პერიოდის განმავლობაში;

დ. მერქნიანი სახეობების დენდრარიუმი და საახალწლო ხის პლანტაციები;

ე. მერქნიანი ხის პლანტაციები ისეთი ნაყოფის მისაღებად, როგორცაა კაკალი, თხილი, წაბლი, ასევე, ხილ-კენკროვანი სახეობები;

ბ) **ტყის შემქმნელი სახეობები** - ხეები და სხვა მერქნიანი მცენარეები, რომლებიც შესულია მინისტრის მიერ დამტკიცებულ ტყის შემქმნელ მერქნიან სახეობათა ნუსხაში;

გ) **ტყითსარგებლობა** -სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით ტყის საერთო და სპეციალური სარგებლობის ფარგლებში გამოყენება და არსებული ეკონომიკური და სხვა ღირებულებების მქონე რესურსების მოპოვება;

დ) **ტყითმოსარგებლე** - საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილი პირი, რომელიც ახორციელებს ტყითსარგებლობას;

ე) **ტყის მონიტორინგი** -საქართველოს ტყის შეფასების, მისი მდგომარეობის დინამიკაზე უწყვეტი დაკვირვების, ანალიზისა და პროგნოზირების სისტემა;

ვ) **ტყეთმოწყობა** - საქართველოს ტყის მოვლის, დაცვისა და აღდგენა-გაშენების ღონისძიებების განხორციელებისა და მათი ეფექტიანობის ამაღლების, ტყის რესურსების მდგრადი გამოყენების, აგრეთვე ამ სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარების დაგეგმვა;

ზ) **ტყით საერთო სარგებლობა** - ტყის ბუნებრივი გარემოთი უსასყიდლო სარგებლობა, რომელიც გულისხმობს პირის უფლებას, იმყოფებოდეს და თავისუფლად გადაადგილდეს ტყეში, პირადი მოხმარების მიზნით შეაგროვოს ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტები და არამერქნული პროდუქტები;

თ) **ტყით სპეციალური სარგებლობა** - ტყით სარგებლობა, რომელიც არ ხორციელდება ტყით საერთო სარგებლობის უფლების ფარგლებში;

ი) **ტყეკაფი** - საქართველოს ტყის უბანი, რომელზეც განსაზღვრულია მოსაჭრელი და ძირნაყარი ხეების ოდენობა და მონიშნულია მოსაჭრელი ხეები;

კ) **მდგრადი განვითარების პრინციპები** - პრინციპები, რომლებიც ინტეგრირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (United Nations Conference on Environment and Development, Rio de Janeiro, 1992) მიერ მიღებულ „გარემოსა და განვითარების რიოს დეკლარაციის“, „21-ე საუკუნის გლობალური მდგრადი განვითარების პროგრამის - დღის წესრიგი 21-ის“ და „ტყეების დაცვის, მდგრადი განვითარებისა და მართვის პრინციპების შესახებ არასაკანონმდებლო ვალდებულებათა განცხადების“ დასკვნით დოკუმენტებში;

ლ) **მოვლითი ჭრა** - სატყეო-სამეურნეო ღონისძიება, რომელიც ხორციელდება ტყის სახეობრივი შემადგენლობის, სტრუქტურის, სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მაღალი წარმადობის კორომების ჩამოყალიბების მიზნით;

მ) **უკანონო ჭრა** - ტყის მერქნიანი რესურსის მოპოვება უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე;

ნ) **კორომი** - მომიჯნავე ტერიტორიისაგან შემადგენლობითა და სტრუქტურით მკვეთრად განსხვავებული ტყის ნაწილი;

ო) **სატყეო უბანი** - სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა ოპტიმალურად ორგანიზების მიზნით გამოყოფილი ტყის ტერიტორია;

პ) **ხე-ტყის დამზადება** - ზეზემდგომი ხის მოჭრა ან/და ძირნაყარი ხე-ტყიდან მერქნის ამოღება, დახარისხება, ტყიდან გამოტანა (გამოზიდვა);

ჟ) **არამერქნული პროდუქტები** - სოკო, სამკურნალო და ტექნიკური ნედლეული, სხვა ბალახეული მცენარეები, მათი ნაწილები და პროდუქტები;

რ) **მერქნიანი მცენარეების პროდუქტები** - მერქნიანი მცენარეების ფესვები, ქერქი, ლაფანი, ძირკვი, ფიჩხი, თესლი, გირჩი, ნაყოფი;

ს) **ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა** - ღონისძიებები, როგორებიცაა აღსადგენი ფართობის მთლიანი ან ნაწილობრივი შემოღობვა, ტყის აღმონაცენის ან/და ამონაყრის ძოვებისგან დაცვა, აგრეთვე შემოღობილ ფართობებზე ნიადაგის აჩიქვანა თვითმოთესვის ხელშეწყობის მიზნით;

ტ) **ტყის მავნებელ-დაავადებები** - მავნე ორგანიზმი, როგორიცაა მწერი, მღრღნელი, სოკო, ბაქტერია ან ვირუსი, რომელთა რაოდენობის მომატებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ტყის ეკოლოგიურ მდგომარეობას ან არსებითად შეამციროს მერქნის ხარისხი;

უ) **სატყეო გზა** - სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა განსახორციელებლად ტყეში არსებული გზა;

უ.ა) **გრუნტის გზა** - მოკლევადიანი ტყითსარგებლობისთვის გაყვანილი სამეურნეო გზა;

უ.ბ) **მკვრივსაფარიანი გზა** - მოხრეშილი ან/და მოშანდაგებული გზა ტყეში, რომლის გაყვანა, მოწყობა, რეაბილიტაცია და შენარჩუნება ხდება გრძელვადიანი სარგებლობისათვის;

ფ) **ჭალის ტყე** - მდინარეების აუზში განფენილი ტყეები, რომლებიც პერიოდულად (წყალდიდობის ან/და წყალმოვარდნის დროს) იფარება წყლით;

ქ) **ქვეტყე** - მერქნიანი მცენარის ან მცენარეთა სახეობების ერთობლიობა, რომლებიც არ ქმნის და არსებულ პირობებში ვერ შექმნის კორომის ზედა საბურველს;

ღ) **ხე** - მრავალწლიანი მერქნიანი მცენარე, რომელიც ივითარებს ერთ მთავარ ღეროს ან, ამონაყრის შემთხვევაში, ღეროებს და აქვს განშტოებული ვარჯი, რომელიც სიმწიფის ასაკში აღწევს არანაკლებ 3 მეტრამდე სიმაღლეს;

ყ) **ბუჩქი** - მრავალწლიანი მერქნიანი მცენარე, რომელსაც ნიადაგის ზედაპირიდან აქვს განშტოებული ვარჯი და რომლის სიმაღლე აღწევს არაუმეტეს 3 მეტრს;

შ) ფიჩხი - მერქნიანი მცენარის ძირნაყარი ტოტები, რომელთა დიამეტრი ძირეულ ნაწილში არ აღემატება 6 სმ-ს;

ჩ) ტყის მართვა - ტყის სასარგებლო თვისებებისა და რესურსების გამოყენების, აგრეთვე, ტყის დაცვის, მოვლისა და აღდგენა-გაშენების ღონისძიებათა დაგეგმვა და განხორციელება;

ც) ტყის მდგრადი მართვა - ტყეებისა და ტყის მიწების მართვა და გამოყენება ისეთი გზითა და მოცულობით, რომ შენარჩუნდეს მათი ბიომრავალფეროვნება, პროდუქტიულობა, რეგენერაციის შესაძლებლობა, სიცოცხლისუნარიანობა და მათი პოტენციალი, რათა ახლაც და მომავალშიც შესრულდეს ტყის შესაბამისი ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ფუნქციები ლოკალურ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე და არ გამოიწვიოს სხვა ეკოსისტემების დაზიანება;

ძ) სუბალპური ტყე - ტყე, რომლებიც მოქცეულია ალპური ზონის საზღვრის ქვემოთ 300 მეტრიანი სიგანის ზოლში და წარმოადგენს გარდამავალ (ბრძოლის) სარტყელს;

წ) საქართველოს ტყე - სახელმწიფო საკუთრებაში და საქართველოში საკუთრების სხვა ფორმებით არსებული ტყეები და მათი რესურსების ერთობლიობა;

ჭ) მინისტრი - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი;

ხ) სამინისტრო - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

მუხლი 3. საქართველოს კანონმდებლობა ტყის სფეროში

1. ტყის სფეროში საქართველოს კანონმდებლობა შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, „საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფციის,” ამ კოდექსის, სხვა საკანონმდებლო აქტებისა და მათ საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისგან.

2. ტყეში სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვის, აგრეთვე გენეტიკურ რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და **სარგებლის სამართლიანი განაწილების** საკითხები წესრიგდება შესაბამისი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე, თუკი ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. დაცულ ტერიტორიებზე არსებული ტყის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს

აწესრიგებს ეს კოდექსი, თუ კი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

4. ტყითსარგებლობა, რომელიც ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, უნდა განხორციელდეს „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 4. ტყის მდგრადი მართვის პრინციპები

საქართველოს ტყეების მართვა მათი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების გათვალისწინებით უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ პრინციპებს:

ა) ტყის მართვის პროცესში უნდა გამოიყენებოდეს ისეთი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფს მისი ბიომრავალფეროვნების, პროდუქტიულობის, თვითაღდგენისა და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას;

ბ) ტყის მართვის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს ტყის ფუნქციური დანიშნულება იმისათვის, რომ ტყისგან ერთი სახის სარგებლის მიღებამ ტყის სხვა ფუნქციური დანიშნულების დეგრადაცია არ გამოიწვიოს;

გ) ტყის მართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება უნდა ეფუძნებოდეს ტყის მდგრადი მართვის პრინციპს. უზრუნველყოფილი უნდა იყოს საერთო სარგებლობის მიზნით ტყეების ყველასთვის ხელმისაწვდომობა, მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა;

დ) სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით საქართველოს ტყის არასატყეო მიზნით გამოყენებისას უნდა განხორციელდეს შესაბამისი საკომპენსაციო ზომები.

მუხლი 5. ტყეზე საკუთრების უფლება

1. ტყეზე საკუთრების უფლება განუყოფელია მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებისაგან. საქართველოს ტყე შეიძლება იყოს სახელმწიფო საკუთრების, მუნიციპალური საკუთრების და კერძო საკუთრების.

2. სახელმწიფო ტყე არის საქართველოს ტყის ნაწილი, რომელიც არ არის მუნიციპალურ ან კერძო საკუთრებაში.

3. მუნიციპალური ტყე არის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ტყე, რომელთან დაკავშირებულ მმართველობით უფლებამოსილებებს ამ კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებენ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები.

4. კერძო საკუთრების ტყე არის საქართველოს ტყის ნაწილი, რომელიც მდებარეობს ფიზიკური ან იურიდიული პირების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე.

5. ამ კოდექსით დადგენილი წესები ვრცელდება საქართველოს ტყეზე, მიუხედავად მისი საკუთრების ფორმისა, თუ კი ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 6. საქართველოს ტყის კატეგორიებად დაყოფის მიზანი

საქართველოს ტყის კატეგორიებად დაყოფის მიზანია:

ა) ხელი შეუწყოს ტყის ეკოლოგიური ფუნქციების დაცვასა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, ტყის ეკონომიკური პოტენციალის მდგრად გამოყენებასა და ტყეების სოციალური ფუნქციების განხორციელებას;

ბ) ტყის ნიადაგდაცვითი, წყალ და კლიმატმარეგულირებელი ფუნქციების დაცვა-აღდგენის ხელშეწყობა და გაძლიერება;

გ) ტყეების პროდუქტიულობის, მათ შორის, ტყის რესურსების, ტურიზმისა და რეკრეაციის შესაძლებლობების რაციონალური გამოყენება გრძელვადიანი სარგებლის მიღების გათვალისწინებით;

დ) ტყის ეკოსისტემურ მომსახურებებთან დაკავშირებული ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის (სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა და სხვ.) ჰარმონიული და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა და უარყოფითი კუმულატიური ზეგავლენისგან ტყის ეკოსისტემების დაცვა.

მუხლი 7. ტყის კატეგორიებად დაყოფა

1. საქართველოს ტყე მისი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების გათვალისწინებითა და მართვის ძირითადი მიზნების მიხედვით იყოფა:

ა) დაცული ტყე;

ბ) დაცვითი ტყე;

გ) საკურორტო და სარეკრეაციო ტყე;

დ) სამეურნეო ტყე.

2. დაცული ტყის მართვის ამოცანაა ბიომრავალფეროვნებისა და იშვიათ ან/და საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობებისა და მოწყვლადი ეკოსისტემების დაცვა.

3. დაცვითი ტყის მართვის ამოცანაა ტყეების დაცვითი ფუნქციების (მარეგულირებელი ეკოსისტემური მომსახურებების) შენარჩუნება და გაძლიერება.

4. საკურორტო და სარეკრეაციო ტყის მართვის ამოცანაა ტყის კურორტოლოგიური ფუნქციის, ლანდშაფტების, ბუნების კონკრეტული ელემენტებისა და ტყეში არსებული ისტორიული ძეგლების დაცვა.

5. სამეურნეო ტყის მართვის ამოცანაა ტყის რესურსებით მდგრადი სარგებლობა და ტყეების დაცვითი ფუნქციების შენარჩუნება.

6. ტყის ფუნქციური დანიშნულებით ტყეების დაყოფა და მართვა ხორციელდება „საქართველოს ტყის კატეგორიებად დაყოფისა და მართვის წესის“ შესაბამისად.

მუხლი 8. დაცული კატეგორიის ტყე

1. დაცულ ტყეს მიეკუთვნება:

ა) ტყე, რომელიც მდებარეობს დაცული ტერიტორიების შემდეგ კატეგორიებში: ნაკრძალები, ეროვნული პარკები, ბუნების ძეგლები, აღკვეთილები. მათი მართვა ხორციელდება დაცული ტერიტორიების კანონმდებლობისა და მენეჯმენტის გეგმების შესაბამისად;

ბ) ტყე, სადაც აღინიშნება ბიომრავალფეროვნების ელემენტების მაღალი კონცენტრაცია გლობალურ, რეგიონულ ან ეროვნულ დონეზე. მართვისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მინიმალური ჩარევა;

გ) ბუნებრივი ლანდშაფტის წარმომქმნელი ჭალისა და არიდული ტყეები. მართვისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მინიმალური ჩარევა. საჭიროების შემთხვევაში, მართვისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს კონსერვაცია აქტიური მენეჯმენტის გზით;

დ) ტყე, რომელიც მოიცავს ენდემურ ან/და რელიქტურ სახეობებს. მართვისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს კონსერვაცია აქტიური მენეჯმენტის გზით.

2. ამ მუხლით განსაზღვრული კატეგორიის ტყეში შესაძლებელია დაარსდეს „ზურმუხტის ქსელი“ და იმართებოდეს შესაბამისი წესების დაცვით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ტყე წარმოადგენს პოტენციურ/სარეზერვო დაცულ ტერიტორიას, სადაც დაცული ტერიტორიების ქსელის გაფართოება ხორციელდება საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესაბამისად და გრაფიკით.

მუხლი 9. დაცვითი კატეგორიის ტყე

1. დაცვითი კატეგორიის ტყეს წარმოადგენს ტყე, რომელსაც გააჩნია დასახლებული პუნქტების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, ინფრასტრუქტურისა და მოწყვლადი ტერიტორიების დაცვის ფუნქცია.

2. დაცვითი კატეგორიის ტყეს მიეკუთვნება:

ა) ზვავებისა და ღვარცოფების მუდმივი კალაპოტების გასწვრივ 200 მეტრამდე სიგანის ტყე;

ბ) 35⁰-ზე მეტი დაქანების ფერდობებზე მდებარე ტყე;

გ) უტყეო სივრცეებს შორის მდებარე 30 ჰექტარამდე სიდიდის ტყე;

დ) ფლატეების, დამეწყრილი ადგილების, ჩამონაშალების, კარსტული წარმონაქმნების, მთის დედაქანების მიწის ზედაპირზე გამოსვლის ადგილების ირგვლივ 100 მეტრამდე სიგანის ტყე;

ე) რკინიგზებისა და საავტომობილო გზების გასწვრივ (მათი მიწის ვაკისიდან) 100 მეტრამდე სიგანის ტყე;

ვ) მდინარეების, ტბებისა და წყალსაცავების ნაპირიდან 100 მეტრამდე სიგანის ტყე;

ზ) ქვათაცვენისა და კლდოვანი ტერიტორიების გარშემო არსებული ტყე;

თ) ბუნებრივი გამოქვაბულების გარშემო არსებული ტყე;

ი) ეროზიასაშიშ და მცოცავ ნიადაგზე არსებული ტყე;

კ) მეწყერსაშიშ ფერდობებზე არსებული ტყე;

ლ) სუბალპური ტყე;

მ) წყლის სათავე ნაგებობებიდან 100 მეტრის რადიუსში არსებული ტყე.

მუხლი 10. საკურორტო და სარეკრეაციო კატეგორიის ტყე

1. საკურორტო ტყეს მიეკუთვნება:

ა) კურორტების სანიტარიული დაცვის ზონაში არსებული ტყე;

ბ) სამკურნალო დაწესებულებებისა და მინერალური წყაროების ირგვლივ 1 კმ რადიუსში არსებული ტყის უბნები; მანძილი იზღუდება წყალგამყოფით.

გ) ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების მიმდებარე ტყე, რომელსაც მოსახლეობა იყენებს მასობრივი დასვენებისთვის, ტურისტული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობისთვის;

დ) დაცული ლანდშაფტებისა და მრავალმხრივი გამოყენების ზონების ფარგლებში არსებული ტყეები; მათი მართვა ხორციელდება დაცული ტერიტორიების კანონმდებლობისა და მენეჯმენტის გეგმების შესაბამისად.

3. საკურორტო დანიშნულების ტყეების მართვისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკურორტო-გამაჯანსაღებელი თვისებების, ლანდშაფტის, მნიშვნელოვანი ბუნებრივი ელემენტების და კულტურული ღირებულებების შენარჩუნება. ყველა ქმედება, რომელიც შეიძლება უარყოფითად აისახოს ზემოხსენებულ ბუნებრივ ელემენტებზე, მკაცრად უნდა აიკრძალოს.

4. ამ მუხლით განსაზღვრული კატეგორიების ტყეებში შეიძლება დაარსდეს „ზურმუხტის საიტები“ და იმართებოდეს შესაბამისი წესით.

მუხლი 11. სამეურნეო კატეგორიის ტყე

1. სამეურნეო ტყეს მიეკუთვნება ტყე, რომელიც არ ექცევა ამ კოდექსის მე-8-10 მუხლებით განსაზღვრული ტყის კატეგორიებში.
2. სამეურნეო კატეგორია ენიჭება ტყეს, რომელიც ასრულებს ნიადაგდაცვით და წყალმარეგულირებელ ფუნქციას, ამასთან, დაშვებულია ტყითსარგებლობის ყველა სახე ამ კოდექსით დადგენილი წესების დაცვით.
3. სამეურნეო ტყის მდგრადი მართვის შედეგად უზრუნველყოფილი უნდა იყოს ტყისა და ტყის ნიადაგის დაცვა, ტყის ნიადაგის ნაყოფიერების და მისგან გამომდინარე სარგებლის შენარჩუნება.
4. ამ მუხლით განსაზღვრული კატეგორიის ტყის კონკრეტულ ტერიტორიაზე მართვის ამოცანიდან და გარემოპირობებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, დროებით აიკრძალოს ტყითსარგებლობა ან/და დაწესდეს სხვა შეზღუდვები, მათ შორის, დაარსდეს „ზურმუხტის საიტები“ ან ბუნების ძეგლები და იმართებოდეს შესაბამისი წესით.

მუხლი 12. ტყის სტატუსის მინიჭება

1. ტერიტორიას სახელმწიფო ტყის სტატუსი ენიჭება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების საფუძველია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შუამდგომლობა.
2. მუნიციპალური ტყის სტატუსი ენიჭება ტერიტორიას საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების საფუძველია მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს შუამდგომლობა.
3. მუნიციპალიტეტის შუამდგომლობა მის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტყისთვის ან მისი ნაწილისთვის მუნიციპალური ტყის სტატუსის მინიჭების შესახებ განიხილება კომისიის მიერ, რომელიც იქმნება მინისტრის გადაწყვეტილებით.
4. კომისიის დასკვნის საფუძველზე, სამინისტროს შუამდგომლობით, საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში

არსებული ტყისთვის მუნიციპალური ტყის სტატუსის მინიჭების შესახებ და მუნიციპალიტეტისათვის 10 წლამდე ვადით მართვის უფლებით გადაცემის შესახებ.

5. მართვის უფლების ამოწურვამდე 3 თვით ადრე, საქართველოს მთავრობა, სამინისტროს შუამდგომლობით, კომისიის დადებითი დასკვნის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას ტყის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

6. სამინისტროს შუამდგომლობით და მთავრობის გადაწყვეტილებით, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიას ენიჭება კერძო საკუთრების ტყის სტატუსი კომისიის დასკვნის საფუძველზე, თუ ის აკმაყოფილებს ტყის ამ კოდექსით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

7. თუ კი კერძო მესაკუთრე დაასაბუთებს ტერიტორიის მიმართ სასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყენების უპირატეს ინტერესს, ტერიტორიას კერძო საკუთრების ტყის სტატუსი არ მიენიჭება.

8. კომისიის შექმნის და ფუნქციონირების წესს ადგენს დებულება „ტყის სტატუსის განმსაზღვრელი კომისიის შესახებ“, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 13. ტყის სტატუსის შეწყვეტა

1. გადაწყვეტილება საქართველოს ტყისათვის სტატუსის შეწყვეტის შესახებ მიიღება საქართველოს მთავრობის განკარგულებით, რომელზეც ტარდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.

2. საქართველოს მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღების საფუძველია სამინისტროს ან ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დასაბუთებული შუამდგომლობა.

3. წარმოება საქართველოს ტყისთვის სტატუსის შეწყვეტისა და საზღვრის კორექტირების შუამდგომლობის შესახებ იწყება დაინტერესებული მხარის განცხადების საფუძველზე. გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს ალტერნატივების შესწავლას.

4. ტყის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ინტერესთა შეპირისპირების საფუძველზე. თუ კი ტყის სტატუსის შეწყვეტის ინტერესი აღემატება ტყის შენარჩუნების ინტერესს, საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას ტყის მართვის ორგანოსათვის ზიანის საკომპენსაციო ღონისძიების შესახებ.

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ტყის სტატუსის შეწყვეტის უპირატესი ინტერესი შეიძლება იყოს:

ა) სახელმწიფო თავდაცვისა და უსაფრთხოების ინტერესები;

ბ) აუცილებელი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტები.

6. ტერიტორიას, რომელსაც „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ენიჭება სტატუსი, შესაძლებელია მოეხსნას სტატუსი კანონით დადგენილი წესების დაცვით.

მუხლი 14. ტყის საზღვრის კორექტირება

1. საქართველოს ტყის საზღვრის კორექტირება ხდება ამ კოდექსის მე-12 და მე-13 მუხლებით განსაზღვრული საფუძვლებით.

2. საქართველოს ტყის საზღვრის კორექტირება ხორციელდება „ტყის საზღვრების დადგენის შესახებ“ დებულების შესაბამისად, რომელსაც შეიმუშავენ სამინისტრო და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს მთავრობას.

3. ტყის სტატუსის შეწყვეტის საფუძველზე საზღვრის კორექტირების შემთხვევაში, ტერიტორიაზე ამ კოდექსით დადგენილი წესები აღარ ვრცელდება.

მუხლი 15. სახელმწიფო ტყის გადაცემა კერძო საკუთრებაში

1. სახელმწიფო ტყის კერძო საკუთრებაში გადაცემა დასაშვებია, თუ კი არსებობს დასაბუთებული საფუძველი, რომ გაუმჯობესდება ტყის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების განსახორციელებლად ტყის თვისებებისა და რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები.

2. საქართველოს მთავრობა გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ან ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე. სახელმწიფო ტყის კერძო საკუთრებაში გადასვლის მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება სამინისტროს თანხმობის

საფუძველზე.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული საფუძველების გათვალისწინებით, სამინისტროს დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო ტყის ნაწილი უსასყიდლოდ, საკუთრებაში შეიძლება გადაეცეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საქართველოს საპატრიარქოს.

4. სახელმწიფო ტყის კერძო საკუთრებაში გადაცემის საკითხს აწესრიგებს საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო ტყის განსახელმწიფოებრიობის შესახებ“.

მუხლი 16. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ტყის სფეროში

სამინისტრომ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით უნდა შეიმუშავოს სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროგრამები საქართველოს მოსახლეობის ინფორმირების მიზნით ტყისა და მისი რესურსების მნიშვნელობის შესახებ.

მუხლი 17. საზოგადოების ჩართულობა

1. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს ტყის მართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მიიღოს მონაწილეობა. აღიარებული და მხარდაჭერილი უნდა იყოს ტყის მიმდებარე ტერიტორიებზე მოსახლე თემების იდენტურობა და კულტურა, აგრეთვე ტყის მართვის ტრადიციები.

2. ტყესთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ ტყის მართვის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

3. ტყის მართვის გეგმა მტკიცდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.

თავი II

უფლებამოსილება ტყის სფეროში

მუხლი 18. სამინისტროს კომპეტენცია

სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) საქართველოს ტყის მართვის სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელების კონტროლი;

ბ) ტყის სფეროში საკანონმდებლო წინადადებების შემუშავება და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა;

გ) საქართველოს ტყეების დაცვის, მოვლის, აღდგენა-გაშენებისა და ტყითსარგებლობის მოწესრიგება, ტყის აღრიცხვის სისტემის ორგანიზება;

დ) ტყის კერძო საკუთრებაში გადაცემის მიზანშეწონილობაზე წინადადების მომზადება და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის წარდგენა;

ე) საქართველოს ტყის მართვის სფეროში ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის გატარება, ნორმატიული და მეთოდოლოგიური დოკუმენტაციის შემუშავება და დამტკიცება, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ორგანიზება;

ვ) საქართველოს ტყის რეესტრის წარმოება;

ზ) ტყის მართვის გეგმის დამტკიცება;

თ) ტყის მართვის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადება; საერთაშორისო პროექტების კოორდინაცია;

ი) ტყის სფეროში ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კონტროლის განხორციელება მისი კომპეტენციის ფარგლებში;

კ) ტყის სტატუსის შეწყვეტის და საზღვრის კორექტირების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება;

ლ) ტერიტორიისთვის მუნიციპალური ტყის სტატუსის მინიჭების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება;

მ) ტყის მონიტორინგის საფუძველზე ტყის მართვის ორგანოსთვის რეკომენდაციების შემუშავება;

ნ) ტყის ეროვნული დონის ინვენტარიზაციის განხორციელება.

მუხლი 19. ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენცია

სახელმწიფო ტყის მართვის სფეროში აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) ტყის დაცვის, მოვლის, აღდგენა-გაშენებისა და ტყითსარგებლობის სახელმწიფო პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობა;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ტყის დაცვის, მოვლის, აღდგენა-გაშენებისა და ტყითსარგებლობის ღონისძიებების შემუშავება-განხორციელება;

გ) ეკოლოგიური კატასტროფებით, მავნებელ-დაავადებებითა და სხვა მიზეზებით დაზიანებული ტყის აღდგენა-გაშენების ორგანიზებაში მონაწილეობა;

დ) ტყის მართვის გეგმების დამტკიცება;

ე) ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ტყის დაცვის, მოვლის, აღდგენა-გაშენებისა და ტყითსარგებლობის ღონისძიებების დაფინანსება ან/და დაფინანსებაში მონაწილეობის მიღება და გამოყოფილი თანხების ხარჯვის კონტროლი;

ვ) ამ კოდექსით დადგენილი წესით ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტყითსარგებლობის სანებართვო დოკუმენტების გაცემა და ხელშეკრულების დადება;

ზ) სტიქიური მოვლენების დროს საგანგებო ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილეობა;

თ) ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ტყის საზღვრების შეცვლის თაობაზე უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოსათვის წინადადებების წარდგენა;

ი) ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ტყის მართვაზე უფლებამოსილი ორგანოს შექმნა;

კ) „საქართველოს ტყის აღრიცხვის სისტემისა და წესის შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული ინფორმაციის სამინისტროსთვის მიწოდება.

მუხლი 20. ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენცია

მუნიციპალური ტყის მართვის სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) ტყის დაცვის, მოვლის, აღდგენა-გაშენების და ტყითსარგებლობის ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;

ბ) მუნიციპალური ტყის მართვის ორგანოს შექმნა;

გ) უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებით ტყის დაცვის, მოვლის, აღდგენა-გაშენებისა და ტყითსარგებლობის ადგილობრივი პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა;

დ) ტყის დაცვის, მოვლის, აღდგენა-გაშენებისა და ტყითსარგებლობის სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობა;

ე) ეკოლოგიური კატასტროფებით, მავნებელ-დაავადებებითა და სხვა მიზეზებით დაზიანებული ტყის აღდგენა-გაშენების ორგანიზებაში მონაწილეობა;

ვ) სტიქიური მოვლენების დროს საგანგებო ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილეობა;

ზ) მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების ხელშეწყობა;

თ) უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოსთვის მუნიციპალური ტყის საზღვრების კორექტირების შესახებ წინადადებების წარდგენა;

ი) ტყის მართვის გეგმის პროექტის შემუშავება და სამინისტროსთვის დასამტკიცებლად წარდგენა;

კ) წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავება და დამტკიცება;

ლ) ამ კოდექსით დადგენილი წესით, მუნიციპალური ტყის ტერიტორიაზე ტყითსარგებლობის სანებართვო დოკუმენტების (გარდა იმ საქმიანობისა, რომელიც ხორციელდება მხოლოდ ტყის მართვის ორგანოს მიერ) გაცემა და ხელშეკრულების დადება;

მ) უფლებამოსილების ფარგლებში უკანონო ტყითსარგებლობის ფაქტების აღკვეთა და უკანონო ტყითსარგებლობის ფაქტების შესახებ შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოებისათვის შეტყობინება;

ნ) საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

მუხლი 21. ტყის მართვის ორგანო

1. სახელმწიფო ტყის მართვის ორგანოა, გარდა დაცული ტერიტორიებისა და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიებზე არსებული ტყისა, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო, რომელიც უფლებამოსილია ტყის მართვის უზრუნველყოფის მიზნით შექმნას კერძო სამართლის იურიდიული პირი.

2. ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფო ტყის მართვის ორგანოს ქმნის შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო.

3. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტყის მართვის ორგანოს ქმნის შესაბამისი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო.

4. კერძო საკუთრების ტყის მართვას ახორციელებს ტყის მესაკუთრე ან მისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი.

5. ტყის მართვის ორგანო საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში:

ა) ახორციელებს ტყის დაცვის, მოვლისა და აღდგენა-გაშენების ღონისძიებებს;

ბ) ახორციელებს ტყითსარგებლობის ღონისძიებებს;

გ) ტყის ცალკეულ ტერიტორიებთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების გამოვლენის მიზნით ახორციელებს ტყის მდგომარეობის შეფასება-შესწავლას და ქმნის მონიტორინგის შედეგად მიღებულ მონაცემთა ბაზას;

დ) უფლებამოსილია, ტყით სხვა მოსარგებლეს მოსთხოვოს თავიდან აიცილოს ტყის განადგურების საფრთხე და შეწყვიტოს ისეთი ქმედება, რომელიც აზიანებს ტყეს;

ე) მონაწილეობს ტყეში სტიქიური მოვლენების დროს საგანგებო ღონისძიებების განხორციელებაში;

ვ) უზრუნველყოფს ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვას, ხოლო ხანძრის საფრთხის შემთხვევაში, იღებს მის სალიკვიდაციოდ შესაბამის ზომებს და საფრთხის შესახებ ინფორმაციას დაუყოვნებლივ აწვდის სათანადო ორგანოებს;

ზ) შეიმუშავებს და სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგენს ტყის მართვის გეგმის პროექტს;

თ) შეიმუშავებს და ამტკიცებს წლიურ სამოქმედო გეგმას;

ი) მონაწილეობს ეკოლოგიური კატასტროფებით, მავნებელ-დაავადებებითა და სხვა მიზეზებით დაზიანებული ტყის აღდგენა-გაშენების ორგანიზებაში;

კ) უფლებამოსილია აღკვეთოს და სამართალდამცავ ორგანოებს აცნობოს უკანონო ტყითსარგებლობის ფაქტები;

ლ) ახორციელებს წესდებით ან დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

6. სახელმწიფო ტყის მართვის ორგანოს დაფინანსების წყაროებია:

ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) მიზნობრივი გრანტები და შემოწირულობები;

გ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული (შესასრულებელი) სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

დ) ტყის რესურსების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;

ე) ამ კანონით გათვალისწინებული მომსახურების საფასური და ტყითსარგებლობის წლიური საფასური (მათ შორის, აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო ფასი);

ვ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

მუხლი 22. საზედამხედველო უფლებამოსილება

1. საქართველოს ტყის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი).

2. დაცული ტერიტორიების ფართობზე არსებული ტყის დაცული ტერიტორიების სახელმწიფო კონტროლს, აგრეთვე, ახორციელებს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანო.

3. ტყის ფიზიკური დაცვა, როგორც საზედამხედველო უფლებამოსილება, სახელმწიფო საკუთრების ტყეში ხორციელდება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს შესაბამისი სამსახურის მიერ, რომელიც საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს ამ კანონის და დებულების საფუძველზე.

4. მუნიციპალიტეტის და კერძო საკუთრებაში არსებული ტყეების ფიზიკური დაცვა ხორციელდება მესაკუთრესა და დაცვის განხორციელებაზე უფლებამოსილ იურიდიულ პირს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 23. კერძო ტყის მესაკუთრის უფლებამოსილება

1. კერძო ტყის მესაკუთრე უფლებამოსილია განახორციელოს ტყის მართვასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედება ან მესამე პირები აღჭურვოს ასეთი უფლებამოსილებით, რომელიც არ ეწინააღმდეგება ტყის დაცვის ამ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კერძო მესაკუთრის უფლება ტყის რესურსებით სარგებლობაზე შესაძლებელია შეიზღუდოს ამ კანონით და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო აქტებით დადგენილი საფუძვლებით და ფარგლებში.

2. კერძო ტყის მესაკუთრე ვალდებულია შეიმუშავოს და სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგინოს ტყის მართვის გეგმა ამ კანონის 26-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

3. საჭიროების შემთხვევაში, დეპარტამენტს შეუძლია კერძო ტყის მესაკუთრეს მოსთხოვოს:

ა) თავიდან აიცილოს ტყის განადგურების საფრთხე ან/და შეწყვიტოს ისეთი ქმედება, რომელიც ანადგურებს ტყეს;

ბ) ტყის სანიტარიული მდგომარეობის შენარჩუნება ან/და გაუმჯობესება;

გ) შეამციროს ან შეძლებისდაგვარად თავიდან აიცილოს ხე-ტყის დამზადებისას ან/და გადაზიდვისას ტყის ნიადაგისა ან/და მცენარეული საფარისათვის ზიანის მიყენება;

დ) გააუქმოს ტყეში შესვლის შეზღუდვა და მოხსნას შეზღუდვის აღმნიშვნელი ნიშნები, თუ აღარ არსებობს შეზღუდვის დაწესების საფუძველი;

ე) ტყის დაცვის ღონისძიებების განსახორციელებლად აუცილებელი ადამიანური რესურსების

უზრუნველყოფა.

თავი III

აღრიცხვა და დაგეგმვა

მუხლი 24. საქართველოს ტყის აღრიცხვის სისტემა

საქართველოს ტყის აღრიცხვის სისტემა შედგება ტყის მონიტორინგის, ტყეთმომოწივობისა და რეესტრისაგან.

მუხლი 25. ტყის მონიტორინგი

1. ტყის მონიტორინგის მიზანია საქართველოს ტყის ეკოლოგიური მდგომარეობის ასახვა, მისი გაუმჯობესების მიზნით სახელმწიფო ორგანოებისათვის ანალიზის შედეგების მიწოდება და საქართველოს მოსახლეობის ინფორმირება.
2. ტყის მონიტორინგს თავიანთ სამოქმედო ტერიტორიებზე ახორციელებენ ტყის მართვის ორგანოები, მათი ტერიტორიული ერთეულები, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილი დაწესებულებები და ტყითმოსარგებლები.
3. საქართველოს ტყის მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს ტყის ეროვნული დონის ინვენტარიზაციის საშუალებით მუდმივ სანიმუშო ფართობებზე, რომელთა რაოდენობა, მოცულობა და ტყის მდგომარეობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვების პერიოდულობა განისაზღვრება „საქართველოს ტყის აღრიცხვის სისტემისა და წესის“ მიხედვით.

მუხლი 26. ტყეთმომოწივობა

1. ტყეთმომოწივობა რაიონის ან ტყის მართვის ორგანოს სამოქმედო საზღვრებში ხორციელდება ყოველ 10 წელიწადში ერთხელ.
2. ტყეთმომოწივობის ღონისძიებებია:
 - ა) საქართველოს ტყის საზღვრების დადგენა;

ბ) ტყის შიდასამეურნეო ორგანიზება და ამ ტერიტორიებზე კარტოგრაფიული მასალების მომზადება;

გ) ტყის მდგომარეობის, სახეობრივი შემადგენლობისა და ხნოვანებითი სტრუქტურის დადგენა;

დ) გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი იშვიათი, რელიქტური, ენდემური, შეზღუდული გავრცელების არეალის მქონე მცენარეთა სახეობების გამოვლენა;

ე) ტყის იმ უბნების დადგენა, სადაც შესაძლებელია (საჭიროა) სატყეო-სამეურნეო ღინისძიებების განხორციელება, აგრეთვე ღონისძიებათა სახეების, მოცულობებისა და მეთოდების განსაზღვრა;

ვ) ფუნქციური დანიშნულების მიხედვით ტყის უბნებისათვის კატეგორიებისა და დაცვის რეჟიმის მიკუთვნების, აგრეთვე ტყის საზღვრების დადგენისა და შეცვლის მიზანშეწონილობის განსაზღვრა;

ზ) ტყითსარგებლობის უბნების დადგენა;

თ) ტყეში შესაძლო მოსაპოვებელი რესურსის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება;

ი) ტყის პათოლოგიური გამოკვლევა.

3. ტყეთმოსწობის მასალები აისახება ტყის მართვის გეგმაში, რომელიც არის ფუნქციური დაგეგმვის საფუძველზე ტყითსარგებლობისა და სატყეო-სამეურნეო სამუშაოების განხორციელების სავალდებულო დოკუმენტი.

4. საქართველოს ტყეებში ტყითსარგებლობა და სატყეო-სამეურნეო სამუშაოების წარმოება ხორციელდება ტყის მართვის გეგმის საფუძველზე (ამ მუხლის მე-8 პუნქტის გათვალისწინებით), გარდა სტიქიური უბედურების შემთხვევებისა.

5. ტყითმოსარგებლე სამინისტროს, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამის ორგანოებს დასამტკიცებლად წარუდგენს ტყის მართვის გეგმას.

6. ტყის მართვის გეგმების შედგენის ვალდებულება არ ვრცელდება კერძო ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტყეზე, რომლის ფართობიც არ აღემატება 50 ჰექტარს.

7. ტყის მართვის გეგმის შედგენა ხდება „საქართველოს ტყის აღრიცხვის სისტემისა და წესის შესახებ“ დებულების მოთხოვნების დაცვით.

8. ტყის იმ ფართობებზე, სადაც ტყეთმოწყობა არ ჩატარებულა და არ არის შედგენილი ტყის მართვის გეგმა ან/და ღონისძიებებისთვის, რომლებიც არ არის გათვალისწინებული არსებული ტყის მართვის გეგმით, ტარდება ამ კოდექსის 29-ე მუხლით დადგენილი ტყის სპეციალური გამოკვლევა.

მუხლი 27. საქართველოს ტყის რეესტრი

1. საქართველოს ტყის რეესტრი წარმოადგენს სისტემატიზირებული დოკუმენტების ჯამურ მასალას, რომელიც შეიცავს ინფორმაციას საქართველოს ტყეზე, ტყის დაცვაზე, აღდგენა-გაშენებაზე, კვლავწარმოებასა და ტყითსარგებლობაზე.

2. საქართველოს ტყის რეესტრი შეიცავს დოკუმენტურ ინფორმაციას:

ა) ტყის საკუთრების ფორმების შესახებ;

ბ) ტყის კატეგორიებად დაყოფის შესახებ;

გ) სატყეოებისა და ტყის კვარტლების შესახებ;

დ) ტყის და ტყის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შესახებ;

ე) ტყის დაცვის, აღდგენა-გაშენებისა და სარგებლობის შესახებ;

ვ) ტყის საზღვრების შესახებ.

3. საქართველოს ტყის რეესტრში დაცული ინფორმაცია არის საჯარო.

4. საქართველოს ტყის რეესტრს აწარმოებს სამინისტრო შესაბამისი ტყის მართვის ორგანოების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

5. „ტყის რეესტრიდან ინფორმაციის გაცემის წესს“ ადგენს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 28. საქართველოს ტყის აღრიცხვის (შეფასების) სისტემა და წესი

1. დებულებას „საქართველოს ტყის აღრიცხვის სისტემისა და წესის შესახებ“ შეიმუშავებს და მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს სამინისტრო.

2. ტყის აღრიცხვის სისტემა ფინანსდება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან. ამ მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა სახსრები.

მუხლი 29. ტყის სპეციალური გამოკვლევა

1. ტყის სპეციალური გამოკვლევა ტარდება:

ა) ტყის კონკრეტულ ტერიტორიაზე ტყის აღდგენა-გაშენების პროექტის შედგენისათვის, აგრეთვე, ტყის პათოლოგიური მდგომარეობის, ტყის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების დადგენისათვის;

ბ) ტყის რესურსების მართვის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად და ტყითსარგებლობის ღონისძიებების ოპერატიულად განხორციელებისათვის.

2. სპეციალური გამოკვლევის საფუძველზე შესაძლებელია შემუშავდეს მრავალწლიანი (არაუმეტეს 3 წლისა) პერსპექტიული გეგმა.

3. ტყის სპეციალური გამოკვლევის შედეგები აისახება წლიურ სამოქმედო გეგმაში.

4. ტყის სპეციალურ გამოკვლევას ატარებს ტყის მართვის ორგანო.

5. ტყის სპეციალური გამოკვლევა შეიძლება დაფინანსდეს როგორც სახელმწიფო, ასევე სხვა სახსრებით.

მუხლი 30. წლიური სამოქმედო გეგმა

1. წლიური სამოქმედო გეგმა დგება ტყის მართვისა ან/და სპეციალური გამოკვლევის მასალების საფუძველზე და დეტალურად აღწერს წლის განმავლობაში დაგეგმილ ღონისძიებებს.

2. წლიური სამოქმედო გეგმა, სულ მცირე, უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ა) დაგეგმილ ღონისძიებათა ტერიტორიის მდებარეობისა და ფართობის შესახებ;
 - ბ) სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა მოცულობისა და მეთოდების შესახებ;
 - გ) დაგეგმილი პერიოდისთვის განსახორციელებელი საქმიანობის სახეებისა და მოცულობის შესახებ.
3. წლიური სამოქმედო გეგმის დამტკიცებამდე, ტყითმოსარგებლეს ეკრძალება ტყის კომერციული მიზნისთვის გამოყენება.
4. წლიურ სამოქმედო გეგმას ამტკიცებს ტყის მართვის ორგანო.

თავი IV

ტყით საერთო სარგებლობა

მუხლი 31. ტყეში შესვლა და გადაადგილება

1. ყველას აქვს უფლება იმყოფებოდეს და თავისუფლად გადაადგილდეს ტყეში დასვენების და გართობის მიზნით. ეს უფლება არ მოიცავს ტყის იმ რესურსებით სარგებლობას, რომელთათვისაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია შესაბამისი უფლების მოპოვების ვალდებულება.
2. ტყის მესაკუთრის ან მართვის ორგანოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია შეიზღუდოს ტყეში შესვლა ან/და გადაადგილება:
- ა) ხანძრის თავიდან აცილების პრევენციული ან ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელების მიზნებისთვის;
 - ბ) ტყის დაცვის, მოვლისა და აღდგენა-გაშენების ღონისძიებების განხორციელების მიზნებისთვის და ვადით;
 - გ) კანონმდებლობის შესაბამისად მოპოვებული უფლების საფუძველზე მერქნული რესურსების მოპოვების მიმდინარე სამუშაოების უსაფრთხოდ განხორციელების მიზნით;
 - დ) ტყეში, სადაც განლაგებულია მერქნიან სახეობათა დენდრარიუმი, ტყის სათესლე უბანი, სამონადირეო მეურნეობა, თევზის მეურნეობა, სანერგე, ხე-ტყის და მექანიზმების საწყობი, შენობა-ნაგებობა, ხე-ტყის გადაზიდვის საშუალებების სამოქმედო ადგილი, გარდა სატყეო

გზისა;

ე) ტყის აღდგენა-გაშენების ფართობზე, სადაც ნარგავების სიმალლეს ჯერ არ მიუღწევია 3 მეტრისათვის;

ვ) ტყის მართვის ან წლიური სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით.

3. ტყეში სატრანსპორტო საშუალებებით შესვლა ან/და გადაადგილება ნებადართულია მხოლოდ სატყეო გზებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ტყითმოსარგებლეს შეზღუდული აქვს ასეთი გადაადგილება.

მუხლი 32. ტყეში შესვლის და გადაადგილების მოწესრიგება

1. ტყეში შესვლის და გადაადგილების შეზღუდვა უნდა მოწესრიგდეს ტერიტორიაზე საინფორმაციო ნიშნების განთავსებით.

2. საინფორმაციო ნიშნები უნდა განთავსდეს იმ ადგილებში, სადაც არის საერთო სარგებლობის გზები, სატყეო გზები და ბილიკები, რომლებიც გადის შეზღუდვის ზონაში ან ტერიტორიაზე, რომელიც უშუალოდ ემიჯნება ამ ზონას.

3. შეზღუდვის მოქმედება ტყის ტერიტორიაზე უნდა გაუქმდეს და მოიხსნას შეზღუდვის აღმნიშვნელი ნიშნები, თუ აღარ არსებობს ამ კოდექსის 31-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვის საფუძვლები.

4. ტყის ტერიტორიაზე შესვლის და გადაადგილების შემზღუდავი ნიშნების გამოყენების წესები დგინდება დებულებით „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“, რომელსაც შეიმუშავენ და ამტკიცებს სამინისტრო.

მუხლი 33. ტყეში საქონლის ძოვება

1. ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, სახელმწიფო და მუნიციპალურ ტყეში გამოიყოფა საქონლის სამოვებლად შესაბამისი ტერიტორიები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტყის ფუნქციური დანიშნულებისა და მდგომარეობის გათვალისწინებით ეს შეუძლებელია.

2. ტყეში საქონლის ძოვების ადგილების გამოყოფა და კვოტების დადგენა ხორციელდება ტყის მართვის ან წლიური სამოქმედო გეგმის საფუძველზე. საქონლის ძოვებისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს შესაბამისი საინფორმაციო ნიშანი.

3. შესაძლებელია საქონლის ძოვების ადგილების გამოყენების დროებით შეზღუდვა ტყის მესაკუთრის ან მართვაზე უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით, როდესაც ეს აუცილებელია ტყის დაცვის, მოვლის ან აღდგენა-გაშენების ღონისძიებების განსახორციელებლად.

მუხლი 34. ტყეში ცეცხლის დანთება

1. ტყეში ცეცხლის დანთება დასაშვებია საამისოდ გამოყოფილ სპეციალურ ადგილებში, სადაც უნდა განთავსდეს შესაბამისი საინფორმაციო ნიშანი.

2. მართვის ორგანოს მიერ ტყის გაწმენდის მიზნით ტყის მავნებელ-დაავადებებით დაზიანებული ხეების მოჭრითა და გაქერქვით მიღებული მერქნული რესურსების ნარჩენების დაწვა ტყის მიწის ფარგლებში ნებადართულია იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს საფუძველი დასკვნისთვის, რომ ეს არ შეუქმნის საფრთხეს ტყეს, არ გააუარესებს ნიადაგის ხარისხს ან არ შექმნის ტყეში ხანძრის გაჩენის საშიშროებას.

3. ტყის მესაკუთრე და მართვის ორგანო უფლებამოსილია სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში შეზღუდოს ცეცხლის დანთება განსაზღვრული დროით ხანძრის თავიდან აცილების მიზნით.

მუხლი 35. ტყის რესურსების მოპოვება

1. ტყით საერთო სარგებლობა გულისხმობს ტყეში მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ტყის არამერქნული პროდუქტების თავისუფალ ხელმისაწვდომობას პირადი მოხმარების მიზნით.

2. საერთო სარგებლობის არამერქნული სახეობების ნუსხა განისაზღვრება დებულებით „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“, ხოლო დასაშვებ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი ტყის მართვის ან წლიური სამოქმედო გეგმა.

3. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და არამერქნული პროდუქტების თავისუფალი ხელმისაწვდომობა შეიძლება შეიზღუდოს:

ა) ტყის სამართლებრივი სტატუსის და ფუნქციური დანიშნულების გათვალისწინებით;

ბ) ტყის დაცვის, მოვლისა და აღდგენა-გაშენების ღონისძიებების განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე.

4. გადაწყვეტილებას ამ მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე იღებს ტყის მესაკუთრე ან ტყის მართვის ორგანო.

მუხლი 36. ტყით საერთო სარგებლობის უფლების ფარგლები

1. ტყით საერთო სარგებლობის უფლება მოიცავს ამ უფლებით მოსარგებლე პირის ვალდებულებას, გაუფრთხილდეს ტყეს და დაიცვას მისი სიმდიდრე, ხოლო ისეთი ქმედების გამოვლენის შემთხვევაში, რომელიც აზიანებს ბუნებრივ გარემოს, აცნობოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს.

2. დაუშვებელია ტყეში ინვაზიური ან/და გენეტიკურად მოდიფიცირებული სახეობების შეტანა, ქიმიური და ტყის დაცვის სხვა საშუალებების გამოყენება.

თავი V

ტყით სპეციალური სარგებლობა

მუხლი 37. ტყით სპეციალური სარგებლობის სახეები

1. საქართველოს ტყეში შეიძლება განხორციელდეს ტყით სპეციალური სარგებლობის შემდეგი სახეები:

ა) მერქნის დამზადება;

ბ) პლანტაციური მეურნეობის მოწყობა;

გ) სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა;

დ) ტყის არამერქნული პროდუქტებისა და მერქნიანი მცენარეების პროდუქტების დამზადება;

ე) საკურორტო, სარეკრეაციო, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით სარგებლობა;

ვ) ცხოველთა თავშესაფრის და სანაშენის მოწყობა;

ზ) კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსება;

თ) განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობა;

ი) სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მიზნით სარგებლობა.

2. დასაშვებია ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ტყითსარგებლობის რამდენიმე სახის ერთდროულად განხორციელება.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ტყითსარგებლობის ყველა სახე დასაშვებია სამეურნეო ტყეში. დაცულ ტყეში დაუშვებელია ტყითსარგებლობის განხორციელება, გარდა ტყის არამერქნული პროდუქტებისა და მერქნიანი მცენარეების პროდუქტების დამზადებისა და სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მიზნით სარგებლობისა. საკურორტო და სარეკრეაციო, აგრეთვე, დაცვით ტყეებში დასაშვებია ტყითსარგებლობის ყველა სახე გარდა მერქნის დამზადებისა.

4. ტყეში სამონადირეო და თევზის მეურნეობის მოწყობა წესრიგდება შესაბამისი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე.

მუხლი 38. ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება

1. ტყით სპეციალურ სარგებლობას ახორციელებს ტყის მართვის ორგანო.

2. ტყითსარგებლობა კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსების, განსაკუთრებული დანიშნულებით და სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მიზნით ხორციელდება ტყის მართვის ორგანოს მიერ დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

3. ფიზიკური პირების მიერ ხე-ტყის დამზადება ხორციელდება ტყის მართვის ორგანოს მიერ გაცემული ბილეთის საფუძველზე.

4. ტყითსარგებლობის დოკუმენტით, სულ მცირე, განისაზღვრება:

ა) ტყითსარგებლობის ადგილი და ფართობი;

ბ) ტყითსარგებლობის სახე;

გ) ტყითსარგებლობის ვადები;

დ) მოსაპოვებელი რესურსის ოდენობა;

ე) რესურსის მოპოვების დასაშვები ფორმები და მეთოდები;

ვ) ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი და სხვა გადასახადები;

ზ) ტყითმოსარგებლის სხვა უფლებები და პასუხისმგებლობა.

5. ამ კოდექსის შესაბამისად ტყითსარგებლობის განხორციელების წესებს ადგენს დებულება „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“, რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს სამინისტრო.

6. ტყითსარგებლობის სანებართვო დოკუმენტების შედგენისა და გაცემის წესს ადგენს დებულება „ტყითსარგებლობის სანებართვო დოკუმენტების შედგენისა და გაცემის წესის შესახებ“, რომელსაც შეიმუშავებს სამინისტრო და ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 39. ტყითსარგებლობა ტყის მდგრადი მართვის მიზნებიდან გამომდინარე

ტყის მართვის ორგანოს მიერ ტყითსარგებლობა ხორციელდება ტყის მდგრადი მართვის მიზნებიდან გამომდინარე ამ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ტყის მართვის ან/და წლიური სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

მუხლი 40. ტყითსარგებლობა დაგეგმვის საფუძველზე

1. ტყითსარგებლობა უნდა ემყარებოდეს დაგეგმვას.

2. ტყითსარგებლობის დაგეგმვის ძირითადი მოთხოვნები გამომდინარეობს ამ კოდექსით განსაზღვრული პრინციპებიდან.

3. ტყითსარგებლობის დაგეგმვისას უპირატესობა ენიჭება გრძელვადიან ტყითსარგებლობას და კომპლექსურ ტყითსარგებლობას, რომელიც ითვალისწინებს რამდენიმე სახის ტყითსარგებლობას ერთდროულად.

4. ტყითსარგებლობის დაგეგმვისას რეკომენდირებულია ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც არ აზიანებს გარემოსა და მისი ბიომრავალფეროვნების მდგრადობას, ცხოველთა სამყაროს, ისტორიულ-კულტურულ და ბუნების ძეგლებს.

5. ტყითსარგებლობის დაგეგმვისთვის დეგბა ტყის მართვის ან/და წლიური სამოქმედო გეგმა.

მუხლი 41. ტყითსარგებლობა სახელმწიფო სასაზღვრო ზოლში

ტყითსარგებლობა სახელმწიფო სასაზღვრო ზოლში ხორციელდება ამ კოდექსისა და „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 42. ტყითსარგებლობა წყალდაცვით ზოლში

ტყითსარგებლობა წყალდაცვით ზოლში ხორციელდება „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს საზღვაო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 43. ტყითმოსარგებლის უფლებები და მოვალეობები

1. ტყითმოსარგებლეს უფლება აქვს:

ა) ისარგებლოს ტყის რესურსებით ტყითსარგებლობის დოკუმენტების შესაბამისად;

ბ) მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვა;

გ) ტყის მართვის ორგანოსთან შეთანხმებით მოაწყოს ტყითსარგებლობის უფლების განსახორციელებლად საჭირო სამეურნეო და სხვა სპეციალური დანიშნულების დროებითი ნაგებობები;

დ) ტყითსარგებლობის უფლებების განსახორციელებლად ისარგებლოს არსებული სატყეო გზებითა და შესაბამისი ინფრასტრუქტურით;

ე) მონაწილეობა მიიღოს ტყის დაცვის, მოვლისა ადდგენა-გაშენების ღონისძიებებში, აგრეთვე ტყითსარგებლობის დაგეგმვასა და განხორციელებაში;

ვ) ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგოს (გარდა ხე-ტყის ბილეთის საფუძველზე დამზადებისა) ტყითსარგებლობის შედეგად მოპოვებული რესურსი (გარდა რესურსის ტყით სპეციალური სარგებლობის წესით მოპოვებისა).

2. ტყითსარგებლე ვალდებულია:

ა) გაეცნოს ტყითსარგებლობის დადგენილ წესებს და იხელმძღვანელოს ამ წესებით;

ბ) განახორციელოს მხოლოდ ტყითსარგებლობის დოკუმენტით განსაზღვრული ტყითსარგებლობა მითითებულ ადგილებზე, მოცულობით და ვადებში;

გ) აწარმოოს სამუშაოები ისეთი ფორმებით, მეთოდებითა და საშუალებებით, რომლებიც არ გამოიწვევს ნიადაგის ეროზიას, შეზღუდავს ან გამორიცხავს ტყითსარგებლობის უარყოფით გავლენას გარემოზე, ტყის მდგომარეობასა და ადდგენაზე;

დ) დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო წესები, ხოლო ხანძრის საფრთხის შემთხვევაში, მიიღოს ზომები მის სალიკვიდაციოდ და საფრთხის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სათანადო ორგანოებს;

ე) დაიცვას ტყითსარგებლობის უსაფრთხოების წესები;

ვ) შეასრულოს ტყის სანიტარიული დაცვის წესები;

ზ) შესაძლებლობის ფარგლებში აღკვეთოს დასახელმწიფო ტყის მართვის ორგანოსა და სამართალდამცავ ორგანოებს დაუყოვნებლივ აცნობოს უკანონო ტყითსარგებლობის ფაქტები;

თ) სრული მოცულობით შეასრულოს ტყითსარგებლობის დოკუმენტით განსაზღვრული სამუშაოები.

თავი VI

მერქნის დამზადება

მუხლი 44. მერქნის დამზადების საფუძველები

1. მერქნის მოპოვების მიზნით სამეურნეო ჭრა ხორციელდება, თუ უზრუნველყოფილია მერქნის თანაბარი და უწყვეტი მოპოვების პირობები ტყის სასარგებლო ბუნებრივი თვისებებისათვის ზიანის მიუყენებლად.

2. სამეურნეო ჭრა ხორციელდება მწიფე და მწიფეზე უხნეს კორომებში. ძირითადად იჭრება მწიფეზე უხნესი ხეები, რაც ხელს უწყობს კორომის გაახალგაზრდავებას (გაჯანსაღებას).
3. საქართველოს ტყეში ხე-ტყის დამზადება ხორციელდება 36 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე.

მუხლი 45. ტყის 31-დან 36 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე ხე-ტყის დამზადების განხორციელების სპეციალური მოთხოვნები

1. 31-დან 36 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე არსებული ტყის კორომებში ხე-ტყის დამზადებისას სიხშირე არ შეიძლება დაყვანილი იყოს 0,5-ზე ქვემოთ.
2. 31-დან 36 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე არსებულ ტყის კორომებში დამზადებული ხე-ტყის გამოტანა (ტრანსპორტირება) დაიშვება მხოლოდ საბაგირო ან საჰაერო ტრანსპორტით, აგრეთვე ცოცხალი გამწევი ძალის გამოყენებით.
3. ტყის 31-დან 36 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე არსებულ ტყის კორომებში ხე-ტყის დამზადების სპეციალური მოთხოვნები დგინდება ტყის მართვის გეგმის საფუძველზე და სავალდებულოა შესასრულებლად.

მუხლი 46. სამეურნეო ჭრა

1. საქართველოს ტყეებში მერქნის მოპოვების მიზნით ტარდება პირწმინდა და ამორჩევითი სამეურნეო ჭრები.
2. პირწმინდა ჭრა არის ტყის განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე არსებულ მერქნიან სახეობათა ხეების ერთდროული (პირწმინდა) მოჭრა, რომელიც ხორციელდება კოლხეთის დაბლობის ტყეებში. პირწმინდა ჭრა შესაძლებელია ასევე განხორციელდეს პლანტაციურ მეურნეობაში. პლანტაციურ მეურნეობაში აკრძალვას ექვემდებარება პირწმინდა ჭრა, რომელიც:
 - ა) მნიშვნელოვნად დააზიანებს ნიადაგის წყლის რეჟიმს;
 - ბ) გამოიწვევს ეროზიულ პროცესებს ან გრუნტის გადარეცხვას;

გ) საფრთხეს შეუქმნის დაცვითი ფუნქციების ეფექტურობას.

3. ამორჩევითი სამეურნეო ჭრა ხორციელდება ტყის განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე და გულისხმობს ამორჩევითი ჭრის მეთოდის გამოყენებით შესაბამისი რაოდენობის ხეების მოჭრას. ტყიდან მიღებული მერქნის მოცულობა ჭრის განმეორების პერიოდის გათვალისწინებით არ უნდა აღემატებოდეს ტყის ბუნებრივ შემატებას.

4. სამეურნეო ჭრების განსახორციელებლად ტყის შემქმნელ მერქნიან სახეობათა მიხედვით ჭრის ოპტიმალურ ხნოვანებას ადგენს დებულება „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“.

მუხლი 47. საანგარიშო ტყეკაფი

1. სამინისტრო, ტყეთმომწობის მასალების საფუძველზე, ტყის მართვის ორგანოების სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით, გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ადგენს სამეურნეო ჭრებით ხე-ტყის დამზადების ყოველწლიურ შესაძლო ოპტიმალურ ოდენობას (შემდგომ - საანგარიშო ტყეკაფი).

2. საანგარიშო ტყეკაფის გაზრდა ან შემცირება დაიშვება სამინისტროს მიერ ტყეთმომწობის მასალების, ტყეების დაცვის რეჟიმის, კატეგორიების და სხვა ისეთი პირობების შეცვლისას, რომლებიც გავლენას ახდენს ტყეების მდგომარეობაზე.

მუხლი 48. ტყეკაფის განსაზღვრა

1. ტყეკაფი მერქნის დამზადების მიზნით განისაზღვრება ორ წლამდე ვადით ტყითსარგებლობისთვის.

2. საანგარიშო ტყეკაფის ოდენობის გადამეტებით ჭრა დაიშვება მხოლოდ წინა წელს აუთვისებელი ტყეკაფის ხარჯზე.

მუხლი 49. ხე-ტყის დამზადების სამართლებრივი საფუძველი

1. ტყის მართვის ორგანო ხე-ტყის დამზადებას ახორციელებს ტყის მართვის ინტერესებიდან გამომდინარე საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში.

2. ხე-ტყის დამზადების ბილეთი გაიცემა ფიზიკური პირების ინდივიდუალური სოციალური ინტერესების გათვალისწინებით ტყის მართვის ორგანოს მიერ გამოყოფილი კონკრეტული ტყეკაფის ფარგლებში.
3. ხე-ტყის დამზადების ბილეთი არის ტყის მართვის ორგანოს მიერ მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე სახელობით გაცემული დოკუმენტი, რომელიც მის მფლობელს ანიჭებს ხე-ტყის დამზადების უფლებას.
4. ხე-ტყის დამზადების ბილეთი გაიცემა სიების საფუძველზე, რომელსაც ადგენს სამხარეო რწმუნებული-გუბერნატორი ფაქტობრივად მაცხოვრებელი კომლის (ოჯახის) წარმომადგენლის (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) მითითებით.
5. ხე-ტყის დამზადების ბილეთის მიღებით დაინტერესებული პირი შესაბამისი მომსახურებისა და „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს წარუდგენს ტყის მართვის ორგანოს, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს დაუყოვნებლივ, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.
6. ხე-ტყის დამზადების ბილეთი მოიცავს ინფორმაციას: ხე-ტყის დამზადების ბილეთის ნომრის, ტყეკაფის ნომრის, ტყეკაფის მდებარეობის, დასამზადებელი ტყის მერქნიანი სახეობის, ხარისხის, მოცულობის შესახებ, ასევე ხე-ტყის დამზადების ბილეთის მოქმედების ვადის შესახებ.
7. ხე-ტყის დამზადების ბილეთში მოცემულ ვადებში და მოცულობით რესურსის აუთვისებლობის შემთხვევაში, ხე-ტყის დამზადების ბილეთი უქმდება და მართვის ორგანოს მიერ გაწეული მომსახურების საფასური უკან არ ბრუნდება.
8. ხე-ტყის დამზადების ბილეთი გაიცემა „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულებისა და „ტყითსარგებლობის სანებართვო დოკუმენტების შედგენისა და გაცემის წესის შესახებ“ დებულების საფუძველზე.
9. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ხე-ტყის დამზადების საფუძველია ტყის მართვის ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

მუხლი 50. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი

1. ტყის ტერიტორიაზე ამ კოდექსის მოთხოვნათა დაცვით დამზადებული ხე-ტყის ტყიდან ტრანსპორტირებისათვის თითოეულ სატრანსპორტო საშუალებაზე გაიცემა წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
2. ხე-ტყის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი გაიცემა ტყის მართვის ორგანოს მიერ, რომელიც არის ხე-ტყის საკუთრების დამადასტურებელი მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი.
3. აკრძალულია ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გარეშე ხე-ტყის ტრანსპორტირება. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი, მოთხოვნის შემთხვევაში, წარედგინება საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილ მკონტროლებელ ორგანოს.
4. ხე-ტყის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტის ფორმა და გაცემის წესი განისაზღვრება დებულებით „ტყითსარგებლობის სანებართვო დოკუმენტების შედგენისა და გაცემის წესის შესახებ“.
5. საქართველოს ტყეში ხე-ტყით სარგებლობასთან, ხე-ტყის მოძრაობასთან და პირველად გადამუშავებასთან დაკავშირებული ღონისძიებების აღრიცხვის მიზნით ტყის მართვის ორგანო ქმნის და აწარმოებს მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემას.
6. მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების ინსტრუქციას ამტკიცებს მინისტრი.

თავი VII

პლანტაციური მეურნეობის მოწყობა

მუხლი 51. ტყითსარგებლობის მიზანი

1. ტყის მართვის ორგანოს მიერ პლანტაციური მეურნეობა ეწყობა ტყის მართვის ინტერესებიდან გამომდინარე, ამ კოდექსის საფუძველზე, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში.

2. პლანტაციური მეურნეობის მოწყობის მიზანია გრძელვადიანი ტყითსარგებლობის უფლების ფარგლებში ტყის მიწაზე ტყის მერქნიან სახეობათა გაშენების გზით ეროზიული და მეწყრული პროცესების შეჩერება, ტყის ენერგეტიკული პოტენციალის გაზრდა და ბუნებრივ ტყეზე ზიანის მიუყენებლად მერქნული რესურსებისა და მერქნიანი მცენარეების პროდუქტების მოპოვება.

3. პლანტაციური მეურნეობის მოსაწყობად ტყის მერქნიან მცენარეთა სახეობების შერჩევა და მიღებული რესურსებით სარგებლობა ხორციელდება შესაბამისი პლანტაციური მეურნეობის მართვის გეგმის საფუძველზე.

4. პლანტაციური მეურნეობის მიზნით გამოყოფილ ტყის ტერიტორიაზე დაიშვება მხოლოდ დროებითი ნაგებობების მოწყობა.

მუხლი 52. გადაწყვეტილების მიღების საფუძველი

1. პლანტაციური მეურნეობის მოწყობის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოება იწყება ტყის მართვის ორგანოს ინიციატივით.

2. პლანტაციური მეურნეობისთვის ფართობი შეირჩევა ტყის მართვის ორგანოს მიერ ტყის მართვის ან/და წლიური სამოქმედო გეგმის საფუძველზე. გადაწყვეტილება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას:

ა) ფართობისა და მისი საზღვრების შესახებ (საკადასტრო აზომვითი ნახაზი);

ბ) მდებარეობის (სატყეო, კვარტალი, ლიტერი, სიმაღლე ზღვის დონიდან, დაქანება, ექსპოზიცია და სხვ.) შესახებ;

გ) არსებული და მოსაწყობი გზებისა და სხვა ინფრასტრუქტურის შესახებ;

დ) ნაკვეთზე არსებული ნარგავების ტაქსაციური მონაცემების შესახებ.

3. ტყის მართვის ორგანო ადგენს პლანტაციური მეურნეობის მოწყობის პროექტს და პერსპექტიულ გეგმას, რომელიც დგება „ტყის დაცვის, აღდგენისა და მოვლის წესის შესახებ“ დებულების საფუძველზე.

4. ტყის მართვის ორგანოს მიერ პლანტაციური მეურნეობის მოწყობის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა ამ კოდექსისა და „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების საფუძველზე, რომელიც არის სამართლებრივი საფუძველი ტყის ტერიტორიაზე შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის.

თავი VIII

სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა

მუხლი 53. ტყითსარგებლობის მიზანი

1. ტყის მართვის ორგანოს მიერ ტყის სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა ხორციელდება ტყის მართვის ინტერესებიდან გამომდინარე, ამ კოდექსის საფუძველზე, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში.
2. სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა გულისხმობს ტყის მიწების გამოყენებას სათიბად, სახნავად, ფუტკრის და პირუტყვის დროებითი სადგომებისა და სხვა დამხმარე სათავსოს მოსაწყობად, აგრეთვე, ტყეში არსებული ბაღებითა და ვენახებით სარგებლობას.
3. სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა ხორციელდება იმ ფორმებითა და მეთოდებით, რომლებიც არ იწვევს მერქნიანი მცენარეების დაზიანებასა და ეროზიულ მოვლენებს.
4. სასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფილ ტყის ტერიტორიაზე დაიშვება მხოლოდ დროებითი ნაგებობების მოწყობა.

მუხლი 54. სამართლებრივი საფუძველი

1. ტყის სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოება იწყება ტყის მართვის ორგანოს ინიციატივით.
2. სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობისათვის ფართობი შეირჩევა ტყის მართვის ორგანოს მიერ ტყის მართვის ან/და წლიური სამოქმედო გეგმის საფუძველზე.

3. ტყის მართვის ორგანოს მიერ სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა ამ კოდექსისა და „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების საფუძველზე, რომელიც არის სამართლებრივი საფუძველი ტყის ტერიტორიაზე შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის.

თავი IX

ტყის არამერქნული პროდუქტებისა და მერქნიანი მცენარეების პროდუქტების დამზადება

მუხლი 55. ტყითსარგებლობის მიზანი

1. ტყის მართვის ორგანოს მიერ ტყის არამერქნული პროდუქტებისა და მერქნიანი მცენარეების პროდუქტების დამზადების მიზნით ტყითსარგებლობა ხორციელდება ტყის მართვის ინტერესებიდან გამომდინარე, ამ კოდექსის საფუძველზე, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში.
2. ტყის არამერქნული პროდუქტებისა და მერქნიანი მცენარეების პროდუქტების დამზადების მიზნით ტყითსარგებლობა გულისხმობს რესურსების ხელმისაწვდომობას კომერციული მიზნით.
3. ტყითსარგებლობის მიზანი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ტყის მდგრადი მართვის ინტერესებს.

მუხლი 56. სამართლებრივი საფუძველები

1. ტყის არამერქნული პროდუქტებისა და მერქნიანი მცენარეების პროდუქტების დამზადების მიზნით ადმინისტრაციული წარმოება იწყება ტყის მართვის ორგანოს ინიციატივით.
2. ტყის არამერქნული პროდუქტებისა და მერქნიანი მცენარეების პროდუქტების დამზადების მიზნით ტყის ფართობი შეირჩევა ტყის მართვის ორგანოს მიერ ტყის მართვის ან/და წლიური სამოქმედო გეგმის საფუძველზე. გადაწყვეტილება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას:
 - ა) ფართობისა და მისი საზღვრების შესახებ (საკადასტრო აზომვითი ნახაზი);

ბ) მდებარეობის (სატყეო, კვარტალი, ლიტერი, სიმაღლე ზღვის დონიდან, დაქანება, ექსპოზიცია და სხვ.) შესახებ;

გ) არსებული და მოსაწყობი გზებისა და სხვა ინფრასტრუქტურის შესახებ;

დ) მცენარეთა სახეობების ტაქსაციური მონაცემების შესახებ.

3. ტყის მართვის ორგანო შეიმუშავებს ტყის არამერქნული პროდუქტებისა და მერქნიანი მცენარეების პროდუქტების დამზადების პერსპექტიულ გეგმას, რომელიც დგება „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების საფუძველზე.

4. ტყის მართვის ორგანოს მიერ ტყის არამერქნული პროდუქტებისა და მერქნიანი მცენარეების პროდუქტების დამზადების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა ამ კოდექსის და „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების საფუძველზე, რომელიც არის სამართლებრივი საფუძველი ტყის ტერიტორიაზე შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის.

თავი X

საკურორტო, სარეკრეაციო, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით სარგებლობა

მუხლი 57. ტყითსარგებლობის მიზანი

საკურორტო, სარეკრეაციო, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით სარგებლობა მოიცავს ამ უფლების განსახორციელებლად აუცილებელი შენობა-ნაგებობების, მათ შორის, კვების ობიექტების და დამხმარე სათავსების აშენებას, მოწყობილობებისა და სპორტული ინვენტარის დამონტაჟებას, სასეირნო ბილიკებისა და გადასახედების მოწყობას შესაბამისი სანებართვო დოკუმენტის საფუძველზე.

მუხლი 58. სამართლებრივი საფუძველი

1. საკურორტო, სარეკრეაციო, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით სარგებლობის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის

გამოცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოება იწყება ტყის მართვის ორგანოს ინიციატივით.

2. ტყის ფართობი შეირჩევა ტყის მართვის ორგანოს მიერ ტყის მართვის ან/და წლიური სამოქმედო გეგმის საფუძველზე. გადაწყვეტილება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას:

ა) ფართობისა და მისი საზღვრების შესახებ (საკადასტრო აზომვითი ნახაზი);

ბ) მდებარეობის (სატყეო, კვარტალი, ლიტერი, სიმაღლე ზღვის დონიდან, დაქანება, ექსპოზიცია და სხვ.) შესახებ;

გ) არსებული და მოსაწყობი გზებისა და სხვა ინფრასტრუქტურის შესახებ;

დ) მცენარეთა სახეობების ტაქსაციური მონაცემების შესახებ;

ე) შერჩეული ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიების ზოგადი დახასიათების შესახებ;

3. საკურორტო, სარეკრეაციო, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით სარგებლობისათვის ტყის მართვის ორგანო შეიმუშავებს პერსპექტიულ გეგმას, რომელიც დგება „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების საფუძველზე.

თავი XI

ცხოველთა თავშესაფრის და სანაშენის მოწყობა

მუხლი 59. ტყითსარგებლობის მიზანი

1. ცხოველთა სახეობების თავშესაფრისა და სანაშენის მოწყობა ხორციელდება ცხოველთა სახეობების შენარჩუნების ან გამრავლების და შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

2. თავშესაფრისა და სანაშენე მეურნეობის მოწყობისათვის ტერიტორიის შერჩევა ხდება ისე, რომ სარგებლობამ არ გამოიწვიოს ტყის დაზიანება, ხოლო მოსაშენებელ ცხოველთა სახეობამ არ უნდა მოახდინოს ტყის ეკოსისტემაზე უარყოფითი ზემოქმედება. იკრძალება ცხოველთა ინვაზიური სახეობების გამოყენება.

3. ფართობის შერჩევა არ უნდა მოხდეს ტერიტორიაზე, სადაც აუცილებელი გახდება ხის (ხეების) მოჭრა 1 ჰექტარზე 20 კუბურ მეტრზე მეტი ოდენობით; დასაშვებია ბუჩქნარისა და ქვეტყის პირწმინდად ჭრა ფართობის 20%-მდე.

მუხლი 60. სამართლებრივი საფუძველი

1. ცხოველთა თავშესაფრისა და სანაშენის მოწყობის მიზნით ადმინისტრაციული წარმოება იწყება ტყის მართვის ორგანოს ინიციატივით.
2. ფართობი შეირჩევა ტყის მართვის ორგანოს მიერ ტყის მართვის ან/და წლიური სამოქმედო გეგმის საფუძველზე.
3. ტყის მართვის ორგანო შეიმუშავებს ცხოველთა თავშესაფრისა და სანაშენის მართვის გეგმას, რომელიც დგება ტყის მართვის გეგმისა ან/და სპეციალური გამოკვლევის საფუძველზე.

თავი XII

კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსება

მუხლი 61. ტყითსარგებლობის მიზანი

1. კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსება ხორციელდება კავშირგაბმულობის სისტემის გაფართოებისა და სრულყოფისათვის.
2. ფართობზე კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობების განთავსებამ არ უნდა გამოიწვიოს ტყისთვის ზიანის მიყენება.
3. ფართობის შერჩევა არ უნდა მოხდეს ტერიტორიაზე, სადაც კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსებისათვის გახდება ხის (ხეების) მოჭრა 1 ჰექტარზე 20 კუბურ მეტრზე მეტი ოდენობით. თუ აღნიშნული ნაგებობის განთავსებისთვის სხვა ფართობის ალტერნატივა არ არსებობს, დასაშვებია ბუჩქნარისა და ქვეტყის პირწმინდად მოჭრა არაუმეტეს ფართობის 20%-ისა.

მუხლი 62. სამართლებრივი საფუძველი

1. ადმინისტრაციული წარმოება კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსების მიზნით ტყითსარგებლობის უფლების მისანიჭებლად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე იწყება დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე.

2. ტყის მართვის ორგანო გადაწყვეტილებას იღებს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.

3. ტყის მართვის ორგანოსა და დაინტერესებულ პირს შორის იდება ადმინისტრაციული ხელშეკრულება. ხელშეკრულების დადების წესს ადგენს „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულება.

თავი XIII

განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობა

მუხლი 63. ტყითსარგებლობის მიზანი

1. განსაკუთრებული დანიშნულებით ტყითსარგებლობა ხორციელდება შემდეგი მიზნებისათვის:

ა) ჰიდროკვანძების, მილსადენების, გზების, ენერგო გენერაციის ობიექტების, ელექტროგადამცემი კომუნიკაციების, არხების ფუნქციონირებისათვის, მშენებლობისათვის, რეკონსტრუქციისათვის (რეაბილიტაციისათვის) ან დემონტაჟისათვის ან ამისათვის საჭირო საპროექტო ან/და საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოებისათვის;

ბ) ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებისა და წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციისათვის;

გ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეკონსტრუქციისათვის (რეაბილიტაციისათვის), არქეოლოგიური სამუშაოების, არქეოლოგიური დაზვერვის, არქეოლოგიური გათხრების წარმოებისათვის;

დ) ნავთობისა და გაზის ოპერაციების ჩასატარებლად;

ე) სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის ან ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების შეზღუდვის ან მათი დაზიანების საფრთხის არსებობისას.

2. ტყის განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობის უფლების მინიჭების განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილებას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით იღებს სამინისტრო.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების მიზნით ჩატარებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში სხვა ადმინისტრაციული ორგანოს და დაინტერესებული მხარის ჩართვას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დაცვით უზრუნველყოფს სამინისტრო.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეგზავნება განმცხადებელს და ტყის მართვის ორგანოს.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე მართვის ორგანო დაინტერესებულ პირთან დებს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას ტყისგანსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობის თაობაზე. ხელშეკრულების ფორმას ადგენს დებულება „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“.

მუხლი 64. გადაწყვეტილების მიღების საფუძველი

1. განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობის უფლების მინიჭება ხდება დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე.

2. დაინტერესებული პირის განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ კანონის, ამ კოდექსის და „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების მოთხოვნებს.

3. ტყითსარგებლობის მიერ განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობა ექვემდებარება კომპენსირებას, რომლის გადახდის წესს ადგენს დებულება „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“.

4. განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობის უფლების ფარგლებში ხე-ტყის დამზადების აუცილებლობის შემთხვევაში ხე-ტყის დამზადება, ტრანსპორტირება და

რეალიზაცია ხორციელდება ტყის მართვის ორგანოს მიერ დაინტერესებული მხარის დაფინანსებით, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

თავი XIV

სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მიზნით სარგებლობა

მუხლი 65. საქმიანობის განხორციელება

1. ტყის სამეცნიერო კვლევითი და სასწავლო მიზნით სარგებლობა გულისხმობს საქმიანობის განხორციელებას სამეცნიერო და პედაგოგიური ავტონომიურობის და აკადემიური პატიოსნების პრინციპის დაცვით. ტყის მართვის ორგანოს მხრიდან აღნიშნული საქმიანობის შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ საქართველო კანონმდებლობის საფუძველზე ტყის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე.
2. სამეცნიერო კვლევითი და სასწავლო მიზნით სარგებლობა ხორციელდება ტყისთვის ზიანის მიუყენებლად.

მუხლი 66. სამართლებრივი საფუძველი

1. ადმინისტრაციული წარმოება სამეცნიერო კვლევითი და სასწავლო მიზნით სარგებლობის უფლების მისანიჭებლად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე იწყება დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე.
2. დაინტერესებული პირის განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ამ კანონის და „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების მოთხოვნებს.
3. ტყის მართვის ორგანო გადაწყვეტილებას იღებს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.
4. კოდექსის ამ თავით დადგენილი წესები ვრცელდება დაინტერესებული პირის მიერ ტყის ნებაყოფლობითი სერტიფიცირების შემთხვევაზე.

თავი XV

ტყის დაცვა

მუხლი 67. საქართველოს ტყის დაცვის მიზანი

1. საქართველოს ტყის დაცვის მიზანია:

- ა) საქართველოს ტყეებში ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება და გაუმჯობესება;
- ბ) ნიადაგის ეროზიის, დაჭაობების, ღვარცოფების, ზვავებისა და სხვა ისეთი პროცესების თავიდან აცილება, რომლებიც აუარესებს ნიადაგის მდგომარეობას;
- გ) ხელუხლებელი ტყეების თვითმყოფადობის შენარჩუნება;
- დ) მცენარეთა რელიქტური, ენდემური და სხვა იშვიათი სახეობების დაცვა.

2. საქართველოს ტყე დაცული უნდა იყოს:

- ა) ხანძრებისგან;
- ბ) მავნებელ-დაავადებებისგან;
- გ) ტყითსარგებლობისა და სხვა ღონისძიებების განხორციელების დადგენილი წესების დარღვევებისაგან;
- დ) უკანონო ჭრებისგან;
- ე) სანიტარიული მდგომარეობის გაუარესებისაგან;
- ვ) სხვა უარყოფითი ანთროპოგენური ზემოქმედებისაგან.

მუხლი 68. ტყის დაცვის ღონისძიებები

1. ტყის დაცვა ხორციელდება საქართველოს ტყეში ბიომრავალფეროვნების და სხვა თავისებურებების გათვალისწინებით და მოიცავს სატყეო-სამეურნეო, ბიოლოგიურ, ქიმიურ და მექანიკურ მეთოდებს საქართველოს ტყის შენარჩუნებისათვის, აგრეთვე მისი განადგურების, დაზიანების, დაბინძურების და სხვა უარყოფითი ზემოქმედებისგან დაცვის ორგანიზაციულ, სამართლებრივ და სხვა ღონისძიებებს.

2. ტყის დაცვის ქიმიური საშუალებები გამოიყენება „ტყის დაცვის, აღდგენისა და მოვლის წესის შესახებ“ დებულებით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესების დაცვით.

3. ტყის დაცვის ღონისძიებებია:

ა) მავნებელ-დაავადებების გავრცელების საშიშროების გათვალისწინებით ტყის ზონირება (სუსტ, საშუალო და მაღალი რისკის ზონად);

ბ) ტყის პათოლოგიური მონიტორინგი და გამოკვლევა;

გ) პათოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ბიოლოგიური, ქიმიური და მექანიკური საშუალებებით ტყის დაცვა გამომწვევი დაავადებებისა და მავნებლების გავრცელებისაგან;

დ) მავნებელ-დაავადებათა ახალი კერების გავრცელების აღკვეთის მიზნით დაავადებული მოჭრილი ხეების ტყიდან ბიოლოგიური ან მექანიკური დამუშავების გარეშე გამოტანის აკრძალვა;

ე) ტყის ხანძრებისაგან დაცვა;

ვ) უკანონო ტყითსარგებლობის და ტყის რესურსების დატაცების პრევენცია და აღკვეთა;

ზ) განსაკუთრებული მდგომარეობით გამოწვეული სხვა აუცილებელი ღონისძიებები.

4. ტყის დაცვის ღონისძიებები არის ტყის მართვის გეგმის შემადგენელი ნაწილი.

5. ამ კოდექსის საფუძველზე ტყის ფიზიკური დაცვის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია:

ა) ტყის დაცვის სფეროში კონტროლის განხორციელების მიზნით და დგენილი წესით შეამოწმოს ტყე;

ბ) ინსპექტირების პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, ტყეში მყოფი პირებისგან მოითხოვოს ახსნა-განმარტებები, რომელიც უზრუნველყოფს საკითხის სრულყოფილ შესწავლას, დაუბრკოლებლად მიიღოს ყველა ზეპირი ან/და წერილობითი ინფორმაცია;

გ) კანონმდებლობით დადგენილი წესით შეადგინოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი, განიხილოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები და გამოიტანოს დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ;

დ) აღკვეთოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და კანონმდებლობით დადგენილი წესით, როცა ამოწურულია ზემოქმედების სხვა ზომები, პიროვნების დასადგენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შესადგენად (თუ ოქმის შედგენა ადგილზე შეუძლებელია) განახორციელოს ადმინისტრაციული დაკავება, ნივთების გასინჯვა, ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა;

ე) ტყის დაცვის სფეროში სამართალდარღვევების შესახებ საკმარისი მონაცემების არსებობისას უკანონოდ მოპოვებული ბუნებრივი რესურსების, ასევე სამართალდარღვევის ჩადენის იარაღებისა და საშუალებების ამოღების (ჩამორთმევის) მიზნით, მოახდინოს ნივთებისა და საგნების დათვალიერება, ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალების გაჩერება - დათვალიერება, ასევე მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი საბუთების შემოწმება;

6. ტყის ფიზიკური დაცვის განმახორციელებელ პირს უნდა ეცვას სპეციალური ტანსაცმელი სამკერდე ნიშნით, რომელიც შესაძლებელს გახდის მისი ვინაობისა და თანამდებობის იდენტიფიცირებას.

7. დაცული ტერიტორიების ფართობზე არსებული ტყის ფიზიკურ დაცვას ახორციელებს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანო.

მუხლი 69. ტყის განადგურების დაუშვებლობა

1. აკრძალულია ისეთი ქმედება, რომელიც იწვევს ტყის განადგურებას.

2. ტყის განადგურებად ითვლება ქმედება, რომელიც:

ა) იწვევს ტყის ნიადაგის საშუალო და საშუალოზე მეტ დეგრადაციას;

ბ) ტყის ნიადაგს უქმნის მეწყერული ან ეროზიული პროცესების აშკარა საფრთხეს;

გ) შეუძლებელს ხდის ტყის დროულ აღდგენა-გაშენებას;

დ) დაუცველს ხდის ხეების ზრდას ისეთი ფართოდ გავრცელებული საფრთხეების ზემოქმედებისგან, როგორებიცაა ქარი, ხანძარი, ბიოლოგიური და ქიმიური პრეპარატების გამოყენება, ტყის მავნებელ-დაავადებების გავრცელება და ნებისმიერი დაბინძურება.

3. საყოფაცხოვრებო, სამრეწველო და სხვა ნარჩენებისა და მავნე ნივთიერებებისგან ტყის გაწმენდის წესს ადგენს „ტყის დაცვის, აღდგენისა და მოვლის წესის შესახებ“ დებულება.

4. ტყისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების და ზიანის გამომწვევის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხები წესრიგდება ამ კოდექსის და სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე.

მუხლი 70. ტყის დაცვის რეჟიმი

1. ტყის მდგომარეობის, ტყის ფუნქციური დანიშნულების და სხვა ღირებულებების მიხედვით დგინდება ტყის დაცვის საერთო ან განსაკუთრებული რეჟიმი.

2. დაცული, საკურორტო, აგრეთვე დაცვითი კატეგორიის ტყეზე ვრცელდება დაცვის განსაკუთრებული რეჟიმი.

3. სამეურნეო კატეგორიის ტყეებზე ვრცელდება დაცვის საერთო რეჟიმი.

4. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ტყის კატეგორიის ტერიტორიაზე, სადაც მოქმედებს დაცვის განსაკუთრებული რეჟიმი, აკრძალულია სამეურნეო ჭრები და „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირველი და მე-2 კატეგორიის საქმიანობა.

5. სამეურნეო კატეგორიის ტყის ტერიტორიაზე, სადაც მოქმედებს დაცვის საერთო რეჟიმი, ვრცელდება ამ კოდექსით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესები.

მუხლი 71. ტყის დაცვის სამართლებრივი საფუძვლები

ტყის დაცვის წესები დგინდება „ტყის დაცვის, აღდგენისა და მოვლის წესის შესახებ“ დებულებით, რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს სამინისტრო.

მუხლი 72. ტყის დაცვის ღონისძიებების დაფინანსება

1. ტყის დაცვის ღონისძიებები ფინანსდება შესაბამისად სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტებიდან. ამ მიზნით, შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა თანხების გამოყენება.

2. კერძო საკუთრების ტყის დაცვის ღონისძიებების დაფინანსება ხორციელდება მესაკუთრის სახსრებით. ტყის დაცვის ღონისძიებების დაფინანსება შესაძლებელია განხორციელდეს სახელმწიფოს თანადაფინანსებით.

თავი XVI

ტყის აღდგენა-გაშენება

მუხლი 73. ტყის აღდგენა-გაშენების მიზანი

ტყის აღდგენა-გაშენება არის სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა მრავალწლიანი ციკლი, რომლის მიზანია ნიადაგის დაცვა ქარისმიერი, წყლისმიერი და სხვა ეროზიული პროცესებისგან, აგრეთვე ტყის სახეობრივი შემადგენლობის, პროდუქტიულობის, დაცვითი და სხვა სასარგებლო ფუნქციების გაუმჯობესება ტყით დაუფარავ ფართობებზე დაბალი სიხშირისა და წარმადობის კორომებში ტყის აღდგენა-გაშენების გზით.

მუხლი 74. ტყის აღდგენა-გაშენების დაგეგმვა და განხორციელება

1. ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებებს, არსებული საშუალებების გათვალისწინებით, ტყის მართვის ან/და წლიური სამოქმედო გეგმის საფუძველზე ყოველწლიურად გეგმავს ტყის მართვის ორგანო. აღნიშნული გეგმის საფუძველზე კონკრეტული ტერიტორიისთვის დგება ტყის აღდგენა-გაშენების პროექტი.

2. ტყის აღდგენა-გაშენების მიზნით, შეიძლება შემუშავდეს სპეციალური სახელმწიფო პროგრამა.

3. ტყის აღდგენა-გაშენების პროექტს ამტკიცებს და მის განხორციელებაზე კონტროლს ახორციელებს ტყის მართვის ორგანო.

4. ტყის აღდგენა-გაშენება ხორციელდება თესვით, დარგვით ან/და ბუნებრივი განახლების ხელშეწყობით.
5. ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებებს ახორციელებს ტყის მართვის ორგანო, აგრეთვე შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ფიზიკური და იურიდიული პირი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით.
6. ტყის ფართობების დეგრადაციის შეჩერებისა და მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილებისთვის, ტყის აღდგენა-გაშენებისთვის საჭირო ქმედებები ხორციელდება არაუგვიანეს სამი კალენდარული წლისა, მას შემდეგ, რაც ბუნებრივი ან ანთროპოგენური პროცესების შედეგად წარმოიშვა ტყის გამეჩხერებული ადგილები ან/და ღია ფართობები.
7. ფართო მასშტაბიანი ზიანის (5 ჰექტარი და მეტი) პირობებში, როდესაც შეუძლებელია ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებების განხორციელება სამი კალენდარული წლის პერიოდში, ტყის აღდგენა-გაშენების ვადის ათვლა დაიწყება იმ დროიდან, როდესაც დასრულდება ფართომასშტაბიანი ზიანის გამომწვევი გარემოებების ზემოქმედება და გაიწმინდება აღსადგენი ტერიტორია.
8. თუ ტყის განახლება მიმდინარეობს ბუნებრივი მოთესვით ან ამონაყრით, რაც პერსპექტივაში წარმოშობს საფუძველს, რომ აღსადგენი ტერიტორია გატყევდება, ტყის აღდგენა უნდა განხორციელდეს ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის გზით.
9. ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებები ჩაითვლება დასრულებულად, თუ აღსადგენ ფართობზე არსებობს მოზარდ-აღმონაცენის ან/და ნერგების შესაბამისი რაოდენობა და არ არსებობს მათი ზრდა-განვითარებისთვის შემაფერხებელი გარემოება.
10. ტყის აღდგენა ხორციელდება იმ სარეპროდუქციო მასალებით, რომლებიც სერტიფიცირებულია „ტყის სარეპროდუქციო მასალების იმპორტის, ექსპორტისა და წარმოების წესის შესახებ“ დებულების საფუძველზე, რომელსაც შეიმუშავენ და ამტკიცებს სამინისტრო.

მუხლი 75. სატყეო მეთესლეობა

1. ტყის აღდგენა-გაშენების გზით მაღალპროდუქტიული, მიზნობრივი ტყეების ან/და პლანტაციების შექმნის საფუძველს წარმოადგენს სატყეო მეთესლეობა.
2. სატყეო მეთესლეობის მოწესრიგების და განვითარების მიზნით ხორციელდება:
 - ა) ტყის მერქნიანი სახეობების მეთესლეობის მიზნით ტყის დარაიონება;
 - ბ) ტყის მერქნიან სახეობათა მუდმივი სათესლე უბნების მოწყობა;
 - გ) ტყის მერქნიან სახეობათა სათესლე მასალის ფონდის შექმნა.
3. უნდა განხორციელდეს ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ტყის მერქნიანი სახეობების თესლების დამზადებას, გადამუშავებას, შენახვას, რეალიზაციასა და გამოყენებას.
4. ტყის აღდგენა-გაშენებისას გამოიყენება ტყის მერქნიან სახეობათა მაღალი ხარისხის თესლები, ასეთის არარსებობის შემთხვევაში - თესლები მიიყვანება კონდიციამდე.
5. ტყის აღდგენა-გაშენების დროს დაუშვებელია დარაიონებული თესლების და სარგავი მასალის სხვაგან გამოყენება, აგრეთვე ისეთი თესლების გამოყენება, რომელთა ხარისხიც შეუმოწმებელი და დაუდგენელია.
6. ტყის მერქნიან სახეობათა თესლების დამზადებისა და გამოყენების წესს ადგენს დებულება „ტყის დაცვის, აღდგენისა და მოვლის წესის შესახებ“.

თავი XVII

ტყის მოვლა

მუხლი 76. ტყის მოვლა და მისი მიზანი

1. ტყის მოვლა არის ღონისძიებათა სისტემა, რომლის უმთავრესი მიზანია:
 - ა) ტყის სოციალურ-ეკოლოგიური ფუნქციების (ნიადაგდაცვითი, წყალ და კლიმატ მარეგულირებელი და სხვა სასარგებლო თვისებები) შენარჩუნება და გაუმჯობესება;
 - ბ) ტყის სახეობრივი შემადგენლობის, სტრუქტურისა და პროდუქტიულობის გაუმჯობესება;
 - გ) ტყის სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება;
 - დ) ტყის ფართობის ერთეულიდან მერქნით სარგებლობის ოდენობის გაზრდა.

2. ტყის მოვლის ღონისძიებები იგეგმება ამ კოდექსით დადგენილი წესით.
3. ტყის მოვლის ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია ტყის მართვის ორგანო.
4. ტყის კორომთა ხნოვანების, ფუნქციური დანიშნულებისა და მდგომარეობის მიხედვით ხორციელდება მოვლითი ღონისძიებები, რომელიც მოიცავს მოვლით, სანიტარიულ და სარეკონსტრუქციო ჭრებს.

მუხლი 77. მოვლითი ჭრა

მოვლითი ჭრები ხორციელდება 0,7 და მეტი სიხშირის მომწიფარ ხნოვანებამდე კორომებში და მიზნად ისახავს შესაბამისი ხეების ამორჩევითი მეთოდით შერჩეული ხეების მოჭრის შედეგად განსაზღვრული ადგილისთვის დამახასიათებელი ძვირფასი და მეურნეობისთვის სასურველი სახეობის ხეების ფართობის ერთეულზე თანაბარ განაწილებას, მათთვის განათების უზრუნველყოფას, აგრეთვე, ღეროსა და ვარჯის სრულყოფილად ფორმირებისთვისა და მერქნის შემატების ზრდისთვის პირობების შექმნას (გაუმჯობესებას).

მუხლი 78. სანიტარიული ჭრა

1. სანიტარიული ჭრა არ განეკუთვნება ტყის სისტემურ ჭრებს, იგი სატყეო-სამეურნეო ღონისძიებაა, რომლის მიზანია ტყის სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება და გულისხმობს განსაზღვრულ ტერიტორიაზე და დადგენილ ვადებში ხმელი, ძლიერ ფაუტი (ფუტურო) და მავნებლებით ძლიერ დაზიანებული ხეების მოჭრას და ტყიდან გამოტანას, აგრეთვე, სტიქიის შედეგად მოთხრილი და მოტეხილი ხეების ტყიდან გამოტანას.
2. სანიტარიული ჭრების ჩატარებისას თუ მოსალოდნელია კორომის სიხშირის 0,3-ზე დაბლა დაყვანა, ჭრა დაიშვება მხოლოდ განსაკუთრებული აუცილებლობისას, სათანადო დასაბუთების საფუძველზე და კომპლექსური ღონისძიებების გატარების შემთხვევაში.

მუხლი 79. სარეკონსტრუქციო ჭრა

1. სარეკონსტრუქციო ჭრა ხორციელდება განსაზღვრული ადგილისათვის ნაკლებად ღირებული და დაბალი წარმადობის კორომებში მათი სახეობრივი და სტრუქტურული შემადგენლობის, აგრეთვე პროდუქტიულობის გაუმჯობესების მიზნით და ითვალისწინებს არასასურველი ხეების ან/და მარადმწვანე ქვეტყის მოჭრას, ჭრის შედეგად გათავისუფლებულ ფართობზე ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობას ან/და ტყის კულტურების გაშენებას.
2. რეკრეაციული დანიშნულების ტყეებში სარეკონსტრუქციო ჭრები შეიძლება განხორციელდეს ლანდშაფტის (ღია, დახურული, ნახევრად დახურული) ფორმირებისთვის.

მუხლი 80. მოვლითი ღონისძიებების განხორციელება

1. ტყის მოვლის ღონისძიებებს თავის სამოქმედო ტერიტორიაზე ახორციელებს ტყის მართვის ორგანო, აგრეთვე ფიზიკური ან იურიდიული პირი „ტყის დაცვის, აღდგენისა და მოვლის წესის შესახებ“ დებულებით განსაზღვრული წესით.
2. ტყის მოვლის ღონისძიებების შედეგად მიიღება შესაბამისი მოცულობის მერქნული რესურსი.

მუხლი 81. ტყის მოვლის ღონისძიებების დაფინანსება

1. ტყის მოვლის ღონისძიებები ფინანსდება შესაბამისად სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ამ მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა თანხები.
2. კერძო საკუთრების ტყის მოვლის ღონისძიებების დაფინანსება ხორციელდება მესაკუთრის სახსრებით. ტყის მოვლის ღონისძიებების დაფინანსება შესაძლებელია განხორციელდეს სახელმწიფოს თანადაფინანსებით.

თავი XVIII

პროფესიული კვალიფიკაცია

მუხლი 82. მეტყევისა და სატყეო საქმის სპეციალისტის სავალდებულო მონაწილეობა

ტყის მართვის ორგანომ უნდა უზრუნველყოს ტყის მართვაში მეტყევის და სატყეო საქმის სპეციალისტის სტატუსის მქონე პირების სავალდებულო მონაწილეობა.

მუხლი 83. მეტყევე

მეტყევე არის პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და საქართველოს შრომითი კანონმდებლობის საფუძველზე იმყოფება შრომით ურთიერთობაში ტყის მართვის ორგანოსთან.

მუხლი 84. სატყეო საქმის სპეციალისტი

სატყეო საქმის სპეციალისტიარის პირი, რომელიც მეტყევის ზედამხედველობის ქვეშ ახორციელებს სამუშაოებს ტყის დაცვის, აღდგენა-გაშენებისა და მოვლის მიზნით, აგრეთვე ახორციელებს ტყის მერქნული (ხე-ტყის) და არამერქნული პროდუქტებისა და ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტების დამზადებას.

მუხლი 85. სპეციალური მოთხოვნები

1. მეტყევეს და სატყეო საქმის სპეციალისტს საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისას უნდა ეცვას შესაბამისი სპეციალური ტანსაცმელი.
2. მეტყევის და სატყეო საქმის სპეციალისტის სამსახურებრივი ტანსაცმლისათვის წაყენებული სპეციალური მოთხოვნები და შრომის უსაფრთხოების წესები დგინდება სამინისტროს დებულებით „ტყეში დასაქმებულ პირთა სამსახურებრივი ტანსაცმლის ფორმის დადგენის შესახებ“, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის შემთხვევაში - ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 86. სპეციალისტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. მეტყვევე შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფილის უმაღლესი განათლება (სულ მცირე ბაკალავრის აკადემიური ხარისხი).
2. სატყეო საქმის სპეციალისტი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი ფორმალური ან არაფორმალური პროფესიული განათლება.
3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები დგინდება ამ კოდექსით, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

მუხლი 87. უფლებამოსილი ორგანო

მეტყვევის და სატყეო საქმის სპეციალისტის რანგირებას და შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ადგენს სამინისტრო დებულებით „ტყეში დასაქმებული პირების თანამდებობათა რანგირებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის შესახებ“, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის შემთხვევაში - ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

მუხლი 88. ტყის სფეროში დასაქმებულ პირთა სტიმულირება

1. მეტყვევების სტიმულირების ღონისძიებაა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით „საქართველოს დამსახურებული მეტყვევის“ წოდების მინიჭება.
2. იმ პირების მიმართ, რომელთაც ტყის სფეროში 10 წლის და მეტი ვადის სამუშაო გამოცდილება აქვთ, სტიმულირების ღონისძიებას წარმოადგენს „წარმატებული მუშაობისათვის სპეციალური სამკერდე ნიშნით დაჯილდოება“.
3. ტყის სფეროში დასაქმებული სხვა პირების მიმართ შესაძლებელია სტიმულირების ღონისძიების - მადლობის გამოცხადების გამოყენება.
4. საქართველოში „მეტყვევის პროფესიული დღის“ გამოცხადებისა და ტყის სფეროში დასაქმებულ პირთა სტიმულირების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

თავი XIX. პასუხისმგებლობა საქართველოს ტყის კოდექსის დარღვევისათვის

მუხლი 89. პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი

1. პასუხისმგებლობა საქართველოს ტყის კოდექსის დარღვევისთვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
2. სამართალდამრღვევისთვის იურიდიული პასუხისმგებლობის დაკისრება არ ათავისუფლებს მას ტყისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან. ზიანის ანაზღაურების საფუძველები და წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

თავი XX

გარდამავალი დებულებანი

მუხლი 90. სარგებლობის ლიცენზიების და მიჩენის მიზნით სარგებლობის გარდამავალი რეგულირება

1. ამ კოდექსის ამოქმედებამდე ტყითსარგებლობის სფეროში კონკრეტულ საქმიანობაზე გაცემული ლიცენზია ინარჩუნებს იურიდიულ ძალას შესაბამისი მოქმედების ვადის განმავლობაში.
2. ამ კოდექსის ამოქმედებამდე ტყითსარგებლობის სფეროში მიჩენის მიზნით სარგებლობისათვის დადებული ხელშეკრულება ინარჩუნებს იურიდიულ ძალას შესაბამისი მოქმედების ვადის განმავლობაში.

მუხლი 91. კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები/გამოსაცემი ნორმატიული აქტები

1. საქართველოს მთავრობამ 2017 წლის 1 იანვრამდე შეიმუშაოს და დაამტკიცოს დებულება:
 - ა) „ტყის რეესტრიდან ინფორმაციის გაცემის წესი“
 - ბ) „ტყითსარგებლობის სანებართვო დოკუმენტების შედგენისა და გაცემის წესი“
2. სამინისტრომ 2017 წლის 1 იანვრამდე შეიმუშაოს და დაამტკიცოს დებულება:
 - ა) „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“

ბ) „ტყის დაცვის, აღდგენისა და მოვლის წესის შესახებ“

გ) „ტყის სარეპროდუქციო მასალების იმპორტის, ექსპორტისა და წარმოების წესის შესახებ“

დ) „ტყეში დასაქმებულ პირთა სამსახურებრივი ტანსაცმლის ფორმის დადგენის შესახებ“

ე) „ტყეში დასაქმებული პირების თანამდებობათა რანგირებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის შესახებ“;

ვ) „საქართველოს ტყის კატეგორიებად დაყოფისა და მართვის წესის შესახებ“

3. სამინისტრომ 2016 წლის 1 დეკემბრამდე შეიმუშაოს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინოს დებულება:

ა) „ტყის ტერიტორიის საზღვრების დადგენისა და შეცვლის შესახებ“

ბ) „საქართველოს ტყის აღრიცხვის სისტემისა და წესის შესახებ“

გ) „ტყის სტატუსის განმსაზღვრელი კომისიის შესახებ“

4. სამინისტრომ 2017 წლის 1 დეკემბრამდე შეიმუშაოს საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ტყის განსახელმწიფოებრიობის შესახებ“.

5. ამ მუხლით განსაზღვრული კანონქვემდებარე აქტების მიღებამდე ძალას ინარჩუნებს მოქმედი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, თუ ის არ ეწინააღმდეგება ამ კოდექსის მოთხოვნებს.

მუხლი 92. კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებები

1. ამ კოდექსის მე-12 მუხლის საფუძველზე, 2017 წლის 31 დეკემბრამდე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უნდა მოამზადოს და საქართველოს მთავრობას წარუდგინოს შუამდგომლობა სახელმწიფო საკუთარებაში არსებული მიწის ნაკვეთის ფარგლებში ტერიტორიისთვის სახელმწიფო ტყის სტატუსის მინიჭების შესახებ.

2. ამ კოდექსის მე-12 მუხლის საფუძველზე, 2018 წლის 31 ივლისამდე:

ა) საქართველოს მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითმა ორგანოებმა უნდა მოამზადონ და კომისიას წარუდგინონ შუამდგომლობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საქართველოს ტყისათვის მუნიციპალური ტყის სტატუსის მინიჭების შესახებ;

ბ) სამინისტრომ უნდა მოამზადოს და კომისიას წარუდგინოს შუამდგომლობა კერძო საკუთრებაში არსებული ტერიტორიისათვის კერძო საკუთრების ტყის სტატუსის მინიჭების შესახებ.

3. ფიზიკური პირების ინდივიდუალური სოციალური ინტერესების გათვალისწინებით ხე-ტყის დამზადების უფლების გადაცემა ამ კოდექსის 50-ე მუხლით განსაზღვრული ხე-ტყის დამზადების ბილეთის საფუძველზე დასაშვებია 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

4. სამინისტრო 2016 წლის 31 დეკემბრამდე ქმნის ამ კოდექსის მე-12 მუხლით გათვალისწინებულ კომისიას და უზრუნველყოფს მის ფუნქციონირებას.

5. სამინისტრომ 2017 წლის 31 დეკემბრამდე უნდა უზრუნველყოს საქართველოს ტყის დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელებაზე ამ კოდექსის 22-ე მუხლით განსაზღვრული სუბიექტის სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

თავი XXI. დასკვნითი დებულებანი

მუხლი 93. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგული საკანონმდებლო აქტები

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს 1999 წლის 22 ივნისის №2124-III საქართველოს კანონი „საქართველოს ტყის კოდექსი“ და 2010 წლის 6 ივლისის №3345-რს საქართველოს კანონი „ტყის ფონდის მართვის შესახებ“.

მუხლი 94. კანონის ამოქმედება

1. საქართველოს ტყის კოდექსი, მე-15 მუხლის გარდა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კოდექსის მე-15 მუხლი ამოქმედდეს ”საქართველოს სახელმწიფო ტყის განსახელმწიფოებრიობის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„საქართველოს ტყის კოდექსი“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს ტყე არის ქვეყნისთვის განსაკუთრებული ფასეულობის მქონე ბუნებრივი რესურსი, რომელიც საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 40%-ს მოიცავს. მას უდიდესი ეროვნული, რეგიონული და გლობალური მნიშვნელობა აქვს. ტყე არამხოლოდ უნიკალური ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას განაპირობებს, არამედ უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პირდაპირი თუ არაპირდაპირი სარგებლისა და არესურსების უწყვეტ მიწოდებას.

სატყეო სექტორში არსებული პრობლემები, რომლებიც პირდაპირ აისახება ტყის მდგომარეობაზე, გამოწვეულია მრავალი ფაქტორით. საქართველოს პარლამენტის მიერ 2013 წლის ბოლოს დამტკიცებული „საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფციის“ მიერ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად დასახელებულია არასრულფასოვანი საკანონმდებლო ბაზა. კანონმდებლობის სრულყოფას ხაზს უსვამს საქართველოს მთავრობის 2015 წლის N59 დადგენილებით დამტკიცებული „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის N299 პუნქტი - „ტყის ახალი კოდექსის მომზადება; შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების განხილვა და შესაბამისობაში მოყვანა“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 მაისის N343 დადგენილებით დამტკიცებული „2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმის“ ამოცანა C.3-02.1 – „ტყის კოდექსის განახლება დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით“, ასევე საქართველოს

მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის N127 განკარგულებით დამტკიცებული საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამის“ 7.1 თავი და 7.6 თავის მიზანი N1.

სატყეო სექტორის მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები არ შეესაბამება ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს; ამ ნორმატიულ აქტებში არსებული ხარვეზები და კოლიზიები განაპირობებს მათ წინააღმდეგობას როგორც ერთმანეთთან, ისე ქვეყანაში მოქმედ, სატყეო ურთიერთობებთან დაკავშირებულ სხვა კანონმდებლობასთან.

ცალკე აღსანიშნავია ლიცენზირების მექანიზმები სატყეო სექტორში. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეფექტიანობის აუდიტის N6/36 ანგარიშის „ხე-ტყის კომერციული რესურსების მართვის“ შესაბამისად, „ტყის ფონდის ლიცენზირების პროცესმა და სახელმწიფო რესურსების არაეფექტიანმა გამოყენებამ, ვერ უზრუნველყო საერთო კეთილდღეობის მაქსიმალური ზრდა“ (გვ. 11).

მოქმედი „საქართველოს ტყის კოდექსი“ 1999 წელს მიიღო საქართველოს პარლამენტმა, რომლის მიხედვითაც სატყეო მეურნეობებს ჩამოშორდათ სამეურნეო ფუნქცია და ხე-ტყის დამზადების უფლება გადაეცა კერძო სექტორს. 2011 წლის 17 მაისს ტყის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ტყის კოდექსს დაემატა სოციალური ჭრის დეფინიცია, რომელიც არის „საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში არაკომერციული მიზნით, მოსახლეობის, საბიუჯეტო ორგანიზაციის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის (მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის) და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა პირების ხე-ტყით უზრუნველყოფისათვის შესაბამის ღონისძიებათა განხორციელება“. აღნიშნული ფორმა ვერ უზრუნველყოფს ტყის ეკოლოგიური და ეკონომიკური ღირებულებების მაქსიმალურ გათვალისწინებას და ამკვიდრებს ტყის სოციალური ფასეულობის უპირატესობას, რაც არ შეესაბამება ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს.

სატყეო სექტორში არსებული პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელია ტყის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, ბიომრავალფეროვნების

დაცვას, ტყეების ეკოლოგიური ფასეულობების გათვალისწინებით მათი ეკონომიკური პოტენციალის რაციონალურ გამოყენებას, ტყის მართვაში საზოგადოების მონაწილეობასა და მიღებული სარგებლის სამართლიან გადანაწილებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად აუცილებელი გახდა საქართველოს ტყის კოდექსის ახალი პროექტის შემუშავება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კოდექსის მიზანია შექმნას ტყის მდგრადი მართვის სამართლებრივი საფუძვლები, რამაც უნდა უზრუნველყოს საქართველოს ტყის ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვა, მისი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების განსახორციელებლად ტყის თვისებებისა და რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შენარჩუნება და გაუმჯობესება. ტყის კოდექსში მოცემული ტყის მართვის ძირითადი პრინციპები და სამართლებრივი ინსტრუმენტები საფუძვლად უნდა დაედოს ტყის მდგრად მართვას.

ტყის კოდექსმა უნდა შექმნას მყარი სამართლებრივი საფუძველი (ლეგიტიმაციის საფუძვლები) ტყის მართვის სფეროში კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მისაღებად და მათი გამართული ფუნქციონირებისათვის.

ტყის კოდექსი საფუძვლად დაედება სატყეო მეურნეობის აღდგენას ქვეყანაში, რომელიც უზრუნველყოს სექტორულ მდგრადობას, ასევე ტყის რესურსების რაციონალურ მოხმარებას ტყის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ღირებულებების გათვალისწინებით. სატყეო მეურნეობის აღდგენა ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას სატყეო სექტორში, ასევე კვალიფიცირებული კადრების ზრდას ტყის მდგრადი მართვის უზრუნველსაყოფად.

სატყეო მეურნეობის აღდგენა საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული „ეროვნული სატყეო კონცეფციის“ 6.3. მიზანში არის გამყარებული, რომელიც ხაზს უსვამს სატყეო მეურნეობის წარმოების უფლებამოსილების მქონე ინსტიტუციის ჩამოყალიბებას.

აღნიშნული მიმართულებით, აღსანიშნავია ევროპის ქვეყნების გამოცდილება სახელმწიფო ტყეების მართვის ინსტიტუციური მოწყობის თაობაზე.

2011 წელს განხორციელებული ინსტიტუციური რეფორმის შემდეგ, **ბულგარეთში** სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ტყეები იმართება ექვსი კომერციული სახელმწიფო სატყეო საწარმოს მიერ, რომლებიც მოიცავს ექვს მთავარ რეგიონს ბულგარეთში ევროკავშირის NUTS-ის მე-2 დონის კლასიფიკაციის შესაბამისად. სახელმწიფო სატყეო საწარმოების მე-2 ორგანიზაციულ დონეს წარმოადგენს მათი ადგილობრივი ერთეულები, წარმოდგენილი დაახლოებით 165 სახელმწიფო სატყეო ორგანიზაციის და სახელმწიფო სამონადირეო ორგანიზაციის სახით. მარეგულირებელი ამოცანების ცენტრალიზაციის საპირისპიროდ, დაარსდა სახელმწიფო ტყეების რეგიონული სახელმწიფო სატყეო საწარმოები. ადგილობრივი ერთეულები ვალდებულები არიან, უზრუნველყონ ფინანსური მდგრადობა და იზრუნონ ბაზარზე ეკონომიკური სარგებლის და წარმატების მისაღწევად. მათ ევალუბათ სწრაფი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღება, ბაზარზე არსებული შესაძლებლობებით, მერქანზე და არამერქნულ პროდუქციაზე მაღალი ფასებით და მომსახურებით სარგებლობა. მათი შემოსავლის 90% ნაწილდება მერქნის მოხმარების და მერქნის პირდაპირი გაყიდვებით მიღებული შემოსავლებიდან, რაც აღიქმება, როგორც წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორი. ოფიციალურად, ექვსმა რეგიონულმა სახელმწიფო სატყეო საწარმომ ერთად მოიპოვა და გაყიდა 4.0 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი მერქანი წელიწადში. ამან გამოიწვია ფინანსური სახსრების პროფიციტი, რომელიც გამოიყენება სტრატეგიული და ოპერირებისთვის გამიზნული ინვესტიციებისთვის (სატყეო გზები, ტყის გაშენება) და ფინანსური რეზერვების შესაქმნელად გაუთვალისწინებელი ეკონომიკური და ბაზრის კრახის შემთხვევაში.

1999 წელს **ესტონეთში** შეიქმნა სახელმწიფო ტყის მართვის ცენტრი, როგორც კომერციული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სატყეო საწარმო, რომელიც განაგებს დაახლოებით 1 მილიონ ჰექტარს - სახელმწიფო ტყეების 99%-ს. ის მოგების მიმღები სახელმწიფო სააგენტოა, რომელსაც გარემოს დაცვის სამინისტრო აკონტროლებს. როგორც სამთავრობო, კომერციული ორგანიზაცია, სახელმწიფო ტყის მართვის ცენტრი შემოსავალს გამოიმუშავებს მერქნის ჭრით და რეალიზაციით. ცენტრი ყიდის მოსაჭრელ მერქანს ან გარე რესურსების სახით, ტენდერების (ზეპირი, წერილობით ან კომბინირებული), სატენდერო მოლაპარაკებების და შეთანხმებული ღირებულების საფუძველზე, ქირაობს კერძო კომპანიებს მერქნის დამზადების მომსახურებისთვის. გაყიდვების და პარტნიორების შესახებ არსებული ყველა ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს და უნდა იყოს გამჭვირვალე. ცენტრის მთავარ შემოსავლის წყაროს

წარმოადგენს მერქნის რეალიზაცია, რომლის მოპოვებაც ხორციელდება კომერციული მიზნებისთვის განკუთვნილ ტყის ფართობებზე. მერქნის დამზადების და რეალიზაციის შედეგად მიღებულმა ბრუნვამ და შემოსავალმა 2013 წელს 155 მილიონი ევრო შეადგინა.

ლატვიის სახელმწიფო სატყეო საწარმო წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ კომპანიას, რომელიც პასუხისმგებელია სახელმწიფო ტყეების ეკონომიკურ მართვაზე. სახელმწიფო სატყეო საწარმოს ძირითად მოვალეობებში შედის ძირითადი სატყეო ოპერაციები და ბიზნეს აქტივობები, როგორებიცაა ტყის მართვა, ნერგების და თესლის წარმოება, მერქნის პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია, ნადირობა და სარეკრეაციო მომსახურების გაწევა, ასევე უძრავი ქონების მართვა. სახელმწიფო სატყეო საწარმოს მიერ განხორციელებული აქტივობები და ეკონომიკური მომგებიანობა ყოველწლიურად იზრდება. სახელმწიფო სატყეო საწარმოს მთავარი შემოსავლის წყაროა მერქნის დამზადება, გამოყენება და რეალიზაცია. შემოსავლის სხვა საშუალებებია ნერგების და მცენარეების წარმოება, ნადირობის და სანადირო სახეობების მართვა და ზოგიერთი რეკრეაციული მომსახურების შეთავაზება. სახელმწიფო სატყეო საწარმოს მიერ შემოთავაზებული რეკრეაციული ობიექტების უმეტესობა უფასოა. სახელმწიფო სატყეო საწარმოს ბრუნვამ 2013 წელს 260 მილიონი ევრო შეადგინა, რაც მნიშვნელოვანი მატებაა 2000 წლის 24 მილიონ ევროსთან შედარებით. 2013 წელს კომპანიამ სახელმწიფო ტყის კაპიტალის და აქტივების გამოყენებისთვის გადასახადის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში შეიტანა 71 მილიონი ევრო, მოახდინა 40 მილიონი ევროს ინვესტირება და შეინარჩუნა 60 მილიონი ევრო წმინდა მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ. 2001 წლიდან 42 სახელმწიფო სატყეო საწარმო გარდაიქმნა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ კომანიებად. სახელმწიფო სატყეო საწარმოების საშუალო ფართობი დაახლოებით 25.000 ჰექტარია. 42 სახელმწიფო სატყეო საწარმოში დასაქმებულია დაახლოებით 300 მეტყევე, რომელთა მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ტყეების მართვაში მონაწილეობა. ყველა სახელმწიფო სატყეო საწარმო ოპერირებს თვითდაფინანსების პრინციპით. ისინი შემოსავალს იღებენ სატყეო პროდუქციის და მომსახურების შედეგად მიღებული შემოსავლებიდან, რომელთა ძირითადი წყაროა მერქნის მოპოვება და რეალიზაცია ისინი, ზოგადად, აღარ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ზოგიერთი გამონაკლისი შემთხვევების გარდა, რომელიც შეეხება სატყეო საქმის, წყლის, ნიადაგის და ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით გადადგმულ

ინდივიდუალურ ღონისძიებებს). სახელმწიფო სატყეო საწარმოები იხდიან განსხვავებულ საშემოსავლო გადასახადებს სახელმწიფო ბიუჯეტში მერქნის გაყიდვასა და სათანადო მომსახურებასთან დაკავშირებით. წინა წლებთან შედარებით, სახელმწიფო სატყეო საწარმოები 16-ჯერ მეტ ბიზნესის და მოგების გადასახადს იხდიდნენ ბიუჯეტში და თანაფარდობა ყველა გადასახადსა და მიღებულ შემოსავალს შორის შეადგენდა 42%-ს (ყველაზე მაღალი პროცენტი ევროპაში). ისინი ასევე იხდიან დაქვითვის 5%-ს სახელმწიფო ბიუჯეტში მრგვალი ხე-ტყის გაყიდვებიდან მიღებული თანხებიდან.

პოლონეთის სახელმწიფო სატყეო კომპანია ახორციელებს ეკონომიკური მართვის ფუნქციებს სახელმწიფო ტყეებში, ეროვნული პარკების და ხაზინის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო რესურსების გარდა. ის პასუხისმგებელია ტყეების თითქმის 80%-ის მართვაზე პოლონეთში. პოლონეთის ტყის აქტი ამტკიცებს სახელმწიფო სატყეო კომპანიის სტატუსს, რომელიც წარმოადგენს თვითდაფინანსებად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ორგანიზაციას. სახელმწიფო სატყეო კომპანია ვალდებულია შეასრულოს ეკონომიკური მართვის ფუნქციები ძირითადი წესების გათვალისწინებით. ეს გულისხმობს ფინანსურ დამოუკიდებლობას სახელმწიფო ბიუჯეტისგან, მომგებიანობას, უარის თქმას მოგების მაქსიმიზაციაზე, ტყის გადასახადის გადახდას კორპორატიული გადასახადის ნაცვლად; სხვა გადასახადების გადახდას კერძო იურიდიული კომპანიების მსგავსად, ტყის ფონდის და სტაბილიზაციის ფონდის დაცვას და მართვას, შიდა აუდიტს და ტყის მავნებლებზე მონიტორინგის განხორციელებას. პოლონეთის სახელმწიფო სატყეო კომპანია უფლებამოსილია განახორციელოს ყველანაირი სატყეო საქმიანობა მრგვალი ხე-ტყის გაყიდვის ჩათვლით, სადაც 10 წლიანი ტყის მართვის გეგმა გამოიყენება საქმიანობის დაგეგმვის საფუძველად. კომპანიას შეუძლია გარკვეული მომსახურების უზრუნველსაყოფად გარე რესურსების მოზიდვა კერძო კონტრაქტორების სახით (4.000-ზე მეტი მცირე და საშუალო ზომის კერძო მეწარმეები). ის ასევე პასუხისმგებელია სატყეო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციასა და კონტროლზე, ტყის ხანძრების პრევენციასა და კონტროლზე და საინფორმაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ტყის საინფორმაციო სისტემის წარმართვაზე. სახელმწიფო სატყეო კომპანიის ბრუნვამ 2013 წელს შეადგინა 1.6 მილიარდი ევრო და 17.0 მილიონი ევრო წმინდა მოგება. შემოსავლების 92% გამომდინარეობს სატყეო უბნის ოფისების მიერ მერქნის გაყიდვებიდან. მერქნის წლიურმა გაყიდვებმა 2013 წელს შეადგინა 37 მილიონი მ³, რაც

მიუთითებს მნიშვნელოვან ზრდაზე 2006 წელს გაყიდულ, 20 მილიონ მ³ მერქანთან შედარებით. გარკვეული შემოსავალი შემოდის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რაც ხმარდება კონკრეტული ტიპის ტყის შექმნას, ტყის კონსერვაციას და გარემოსდაცვითი საქმიანობის განხორციელებას. მცირე ოდენობის დამატებითი შემოსავლის წყაროა ტყის მომხმარებლების ან ტყისთვის ზიანის მიმყენებლებისგან ქირის, ჯარიმების და სხვა გადასახადების შეგროვება, რომლის უფლებამოსილებაც სახელმწიფო სატყეო კომპანიას გააჩნია გარკვეულ პირობებში. სახელმწიფო სატყეო კომპანია სიდიდით მეოცე საწარმოა პოლონეთში და ერთ-ერთი რამოდენიმე იმ ორგანიზაციათაგანი ქვეყანაში, რომელსაც მსგავსი ხანგრძლივი ისტორია აქვს.

რუმინეთის სახელმწიფო ტყეებს მართავს ეროვნული სატყეო ადმინისტრაცია რომსილვა. იგი წარმოადგენს ფინანსურად დამოუკიდებელ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საწარმოს, რომელსაც კოორდინირებას უწევს და იქვემდებარებს გარემოს დაცვის და კლიმატის ცვლილების სამინისტროს, ამავე სამინისტროს მიერ დელეგირებული წყლების და ტყეების მინისტრის უშუალო პასუხისმგებლობის ქვეშ. ტყის ადმინისტრაციული ერთეულები წარმოადგენს საწყის სატყეო განყოფილებებს და ისინი ექვემდებარებიან სატყეო უბნებს. ეროვნული სატყეო ადმინისტრაციის როლი მნიშვნელოვნად შეიცვალა წარსულში ტყის სექტორში განხორციელებული ინსტიტუციური რეფორმების შედეგად, რომელიც აღინიშნა მარეგულირებელი, მაკონტროლებელი და ეკონომიკური მართვის ფუნქციების განცალკევებით ისევე, როგორც ხე-ტყის მომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობის პრივატიზაციით. რომსილვას მთავარი მოვალეობაა ტყის ეროვნული კანონმდებლობის და სტრატეგიის განხორციელება, კონსერვაციის და სახელმწიფო ტყეების მდგრადი მართვის უზრუნველყოფა. ეროვნული სატყეო ადმინისტრაცია რომსილვა ასევე მართავს სხვა, არასახელმწიფო ტყეებს ნების ავტონომიის შესაბამისად ხელშეკრულების საფუძველზე და რამდენიმე მცირე ზომის კერძო მესაკუთრეს უწევს დამატებით მომსახურებას. რომსილვა ოპერირებს, როგორც ფინანსურად დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს ტყის ეკონომიკურ მართვას, მერქნის მოპოვების და სატყეო ოპერაციების ჩათვლით. მიუხედავად იმისა, რომ მერქნის გაყიდვები ისევ რჩება დაფინანსების ძირითად წყაროდ, ეროვნული სატყეო ადმინისტრაცია რომსილვა უზრუნველყოფს ასევე არამერქნული პროდუქტების დამზადებასა და საზოგადოებრივი სიკეთეების შექმნისთვის მიმართულ ისეთ მომსახურებას, როგორცაა წყლის და ნიადაგის დაცვა, ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია.

სლოვაკეთის რესპუბლიკაში არსებული სახელმწიფო ტყეები იმართება სახელმწიფო სატყეო კომპანიის მიერ. კომპანიას აქვს 26 სატყეო ფილიალი საწარმო და ორი ფირმა, რომლებიც ჩართულია სატყეო მეურნეობის განყოფილებებისთვის რეპროდუქტიული მასალების და ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფის პროცესში. 26 სატყეო ფილიალი საწარმო სატყეო მეურნეობებში ახორციელებს ეკონომიკური მართვის ისეთ აქტივობებს, როგორცაა წარმოება, ვაჭრობა და მერქნის და სხვა არამერქნული პროდუქტებისა და მომსახურეობის უზრუნველყოფა სტაბილური ეკონომიკური შემოსავლის მისაღებად და საზოგადოებრივი სიკეთეების შესანარჩუნებლად. სახელმწიფო სატყეო კომპანია და მისი ფილიალებისთვის შემოსავლის ძირითადი წყაროა მერქნის რეალიზაცია (90%), ასევე მერქნის სახერხი სამუშაოები (4%), ნადირობა (3%) და ტურიზმი, ბიომასის წარმოება, მეცხოველეობა, საახალწლო ნაძვის ხის გაყიდვები (3%).

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი შედგება პრეამბულისა და 21 თავისგან:

თავი I ზოგადი დებულებანი

თავი II უფლებამოსილება ტყის სფეროში

თავი III აღრიცხვა და დაგეგმვა

თავი IV ტყით საერთო სარგებლობა

თავი V ტყით სპეციალური სარგებლობა

თავი VI ხე-ტყის დამზადება

თავი VII პლანტაციური მეურნეობის მოწყობა

თავი VIII სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა

თავი IX ტყის არამერქნული პროდუქტებისა და მერქნიანი მცენარეების პროდუქტების დამზადება

თავი X საკურორტო, სარეკრეაციო, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით სარგებლობა

თავი XI ცხოველთა თავშესაფრის და სანაშენის მოწყობა

თავი XII კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსება

თავი XIII განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობა

თავი XIV სამეცნიერო კვლევითი და სასწავლო მიზნით სარგებლობა

თავი XV ტყის დაცვა

თავი XVI ტყის აღდგენა-გაშენება

თავი XVII ტყის მოვლა

თავი XVIII პროფესიული კვალიფიკაცია

თავი XIX. პასუხისმგებლობა საქართველოს ტყის კოდექსის დარღვევისათვის

თავი XX გარდამავალი დებულებანი

თავი XXI დასკვნითი დებულებანი

კანონპროექტის პირველ თავში მოცემულია კანონის რეგულირების სფერო და მიზანი, ტერმინთა განმარტებები.

კოდექსის მიზანია საქართველოს ტყის ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვა, მისი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების განსახორციელებლად ტყის თვისებებისა და რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შენარჩუნება და გაუმჯობესება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, კოდექსი განსაზღვრავს ტყის მართვის ძირითად პრინციპებს, რაც საფუძვლად უნდა დაედოს ტყის მდგრად მართვას.

კოდექსის მოწესრიგების სფეროდ განისაზღვრა ტყის მართვასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები. ტყის მართვა არის ერთ-ერთი ცენტრალური ტერმინი, რომელიც განმარტებულია, როგორც ტყის სასარგებლო თვისებებისა და რესურსების გამოყენების, აგრეთვე, ტყის დაცვის, მოვლისა და აღდგენა-გაშენების ღონისძიებათა დაგეგმვა და განხორციელება.

კოდექსის პირველ ნაწილში ძირითადი ტერმინების განმარტება ემსახურება კოდექსში მოცემული ინსტიტუტების ერთგვაროვანი გაგებისა და პრაქტიკაში გამოყენების მიზნებს.

კოდექსის მოწესრიგების სფეროს განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია საქართველოს ტყის ცნება, რომელიც მოიცავს სახელმწიფო, კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებულ ტყეებსა და მათი რესურსების ერთობლიობას. კანონპროექტმა უარი თქვა ტყის ფონდის ცნებაზე და ის შეიცვალა ტყის ცნებით, რომელიც ასევე მოიცავს ტყის მიწებს, ანუ იმ ფართობებს, რომლებიც ტყის ეკოსისტემის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. აღნიშნული გარმარტება მოიცავს მთელ რიგ კრიტერიუმებს, რომლებიც გაამარტივებს ტყის საზღვრების დადგენას.

ტყის მართვის პრინციპები

საქართველოს ტყის კოდექსი ემყარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (United Nations Conference on Environment and Development, Rio de Janeiro, 1992) მიერ მიღებულ „გარემოსა და განვითარების რიოს დეკლარაციის“, „21-ესაუკუნის გლობალური მდგრადი განვითარების პროგრამის - დღის წესრიგი 21-ისა“ და „ტყეების დაცვის, მდგრადი განვითარებისა და მართვის პრინციპების შესახებ არასაკანონმდებლო ვალდებულებათა განცხადების“ დასკვნითი დოკუმენტების მიერ აღიარებულ მდგრადი განვითარების პრინციპებს.

აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით, საქართველოს ტყის კოდექსის მიერ დამკვიდრებული ტყის მდგრადი მართვა გულისხმობს ტყის გამოყენებას ისეთი მოცულობით, რომ შენარჩუნებული იყოს მისი ბიომრავალფეროვნება, პროდუქტიულობა, რეგენერაციის შესაძლებლობა, სიცოცხლისუნარიანობა და მისი პოტენციალი, რათა ახლაც და მომავალშიც შესრულდეს ტყის შესაბამისი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციები ლოკალურ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე და არ გამოიწვიოს სხვა ეკოსისტემების დაზიანება.

საქართველოს ტყეების მართვა მათი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების გათვალისწინებით უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

ტყის მართვის პროცესში უნდა გამოიყენებოდეს ისეთი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფს მისი ბიომრავალფეროვნების, პროდუქტიულობის, თვითაღდგენისა და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

კოდექსი ემყარება სიფრთხილის პრინციპს ტყის დაცვითი ფუნქციებისა და ეკოლოგიური წონასწორობის შესანარჩუნებლად, რომლის მიზანია ტყის მართვის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული იყოს ტყის ფუნქციური დანიშნულება, რათა ტყისგან ერთი სახის სარგებლის მიღებამ ტყის სხვა ფუნქციური დანიშნულების დეგრადაცია არ გამოიწვიოს.

ტყის მართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება უნდა ეფუძნებოდეს ტყის მდგრადი მართვის პრინციპს. უზრუნველყოფილი უნდა იყოს საერთო სარგებლობის მიზნით ტყეების ყველასთვის ხელმისაწვდომობა, მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა.

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, საქართველოს ტყის არასატყეო მიზნით გამოყენებისას უნდა განხორციელდეს შესაბამისი საკომპენსაციო ზომები.

საქართველოს ტყის კატეგორიებად დაყოფის მიზანი

რამდენადაც ტყის კოდექსის მიზანია მოაწესრიგოს ტყის დაცვისა და ტყითსარგებლობის საკითხები, მნიშვნელოვანია საქართველოს ტყის კატეგორიებად დაყოფა. ტყეების მრავალფუნქციურობიდან გამომდინარე, კატეგორიებად დაყოფის მიზანია ხელი შეუწყოს ტყის ეკოლოგიური ფუნქციების დაცვასა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, ტყის ეკონომიკური პოტენციალის მდგრად გამოყენებასა და ტყეების სოციალური ფუნქციების განხორციელებას. ტყის თითოეულ კატეგორიას აქვს საერთო და მათი განმასხვავებელი ნიშნები. კატეგორიზაციის მიზანია ხაზი გაუსვას ტყეების უპურატეს ამოცანას. საქართველოს ტყე მისი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების გათვალისწინებითა და მართვის ძირითადი მიზნების მიხედვით იყოფა:

ა) დაცულ ტყედ;

ბ) საკურორტო და სარეკრეაციო ტყედ;

გ) დაცვით ტყედ;

დ) სამეურნეო ტყედ.

დაცული და ტყის კატეგორიის გამოყოფის მიზანია განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდეს ტყის ისეთ ფუნქციაზე, როგორცაა ბიომრავალფეროვნებისა და იშვიათ ან/და საფრთხის პირას მყოფი სახეობებისა და მოწყვლადი ეკოსისტემების დაცვა.

საკურორტო და სარეკრეაციო ტყის მართვის კატეგორია განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ტყის კურორტოლოგიური ფუნქციის, ლანდშაფტებისა და ბუნების კონკრეტული ელემენტებისა და ტყეში არსებული ისტორიული ძეგლების დაცვაზე, რასაც საქართველოს რეალობის გათვალისწინებით, აქვს მნიშვნელოვანი დატვირთვა.

დაცვითი ტყის კატეგორიის ქვეშ მოქცეულ ტყეში მართვის ამოცანად განსაზღვრულია ტყეების დაცვითი ფუნქციების (მარეგულირებელი ეკოსისტემური მომსახურებების) შენარჩუნება და გაძლიერება.

სამეურნეო ტყის მართვის ამოცანა არის ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება, რომელიც შერწყმულია ტყეების დაცვითი ფუნქციების შენარჩუნების ვალდებულებასთან.

ტყის სტატუსის მინიჭება, ტყეზე საკუთრების უფლება

ტყის კოდექსის ძალაში შესვლა წარმოშობს ვალდებულებას, რომ ამ კოდექსით განსაზღვრული ტყის ცნების ელემენტების გამოყენებით განისაზღვროს საქართველოს ტყის გეოგრაფიული არეალი. საქართველოს მასშტაბით ტერიტორიისთვის სახელმწიფო ტყის სტატუსის მინიჭება ხდება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების საფუძველია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შუამდგომლობა.

ტყის კოდექსით გათვალისწინებულია მუნიციპალური ტყის საზღვრების დადგენის სამართლებრივი ინსტრუმენტები. მუნიციპალური ტყის სტატუსი ენიჭება სახელმწიფო ტყის გარკვეულ ნაწილს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების საფუძველია მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს შუამდგომლობა. მუნიციპალიტეტის შუამდგომლობა ეგზავნება კომისიას, რომელიც იქმნება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით.

კომისიის დასკვნის საფუძველზე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო შუამდგომლობით მიმართავს საქართველოს მთავრობას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ტერიტორიისთვის მუნიციპალური ტყის სტატუსის მინიჭების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოიცემა დათქმით, რომ საკუთრების სტატუსი ამოქმედდეს მართვის უფლების ვადის გასვლის შემდეგ. ტყის მუნიციპალიტეტისათვის მართვის უფლებით გადაცემა ხდება¹⁰ წლამდე ვადით და ემსახურება ტყის მდგრადი მართვის პრინციპების

დამკვიდრების უზრუნველყოფას. მართვის უფლების ამოწურვამდე 3 თვით ადრე, საქართველოს მთავრობა, სამინისტროს შუამდგომლობით, კომისიის დადებითი დასკვნის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას ტყის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის შესახებ. საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოები ახორციელებენ ტყის მართვას საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში.

კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიას, რომელიც დააკმაყოფილებს ტყის სტატუსის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო წარუდგენს მთავრობას კერძო ტყის სტატუსის მისანიჭებლად. კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიას ენიჭება კერძო საკუთრების ტყის სტატუსი კომისიის დასკვნის საფუძველზე, თუ კი კომისია ჩათვლის, რომ ის აკმაყოფილებს ტყის ამ კოდექსით განსაზღვრულ კრიტერიუმებს. თუ კი კერძო მესაკუთრე დაასაბუთებს ტერიტორიის მიმართ სასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყენების უპირატეს ინტერესს, უპირატესობა ენიჭება ტერიტორიის მესაკუთრის ინტერესებს და ტერიტორიას კერძო ტყის სტატუსი არ მიენიჭება.

ტყეზე საკუთრების უფლება განუყოფელია მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებისაგან. საქართველოს ტყე შეიძლება იყოს სახელმწიფო საკუთრების, მუნიციპალური საკუთრების და კერძო საკუთრების ტყე.

სახელმწიფო ტყე არის საქართველოს ტყის ნაწილი, რომელიც არ არის მუნიციპალურ ან კერძო საკუთრებაში.

მუნიციპალური ტყე არის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ტყე, რომელთან დაკავშირებულ მმართველობით უფლებამოსილებებს ტყის კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებენ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები.

კერძო საკუთრების ტყე არის საქართველოს ტყის ნაწილი, რომელიც მდებარეობს ფიზიკური ან იურიდიული პირების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე.

საქართველოს ტყის კოდექსის პროექტით დადგენილი წესები ვრცელდება საქართველოს ტყეზე, მიუხედავად მისი საკუთრების ფორმისა, გარდა იმ გამონაკლისი წესებისა, რომელსაც ადგენს ეს კოდექსი.

ტყის კოდექსის პროექტი აწესრიგებს საქართველოს ტყისათვის სტატუსის შეწყვეტის საკითხს. გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა. ტყისადმი მაღალი საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, სტატუსის შეწყვეტა უკავშირდება შემდეგ პროცედურებს:

- საქართველოს მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღების საფუძველია სამინისტროს ან ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დასაბუთებული შუამდგომლობა.

- თავის მხრივ წარმოება საქართველოს ტყისთვის სტატუსის შეწყვეტისა და საზღვრის კორექტირების შუამდგომლობის შესახებ იწყება დაინტერესებული მხარის განცხადების საფუძველზე. შუამდგომლობის გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს **ალტერნატივების შესწავლას**, რაც არის გადაწყვეტილების დასაბუთებულობის კრიტერიუმი, სადაც უნდა გამოჩნდეს, რომ არ არსებობს სხვა ალტერნატივა მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმიანობის განსახორციელებლად.

- მთავრობის გადაწყვეტილება ტყის სტატუსის შეწყვეტის შესახებ უნდა ეყრდნობოდეს **ინტერესთა შეპირისპირების** პრინციპს. თუ კი ტყის სტატუსის შეწყვეტის ინტერესი აღემატება ტყის შენარჩუნების ინტერესს, საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას სტატუსის შეწყვეტის შესახებ. ასეთ შემთხვევაში, გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს **ზიანის კომპენსაციის** კონკრეტული ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას.

კანონმდებელი თავად ადგენს ტყის სტატუსის შეწყვეტის უპირატეს ინტერესთა ჩამონათვალს:

ა) სახელმწიფო თავდაცვისა და უსაფრთხოების ინტერესები;

ბ) აუცილებელი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტები.

ტერიტორიას, რომელსაც „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ენიჭება სტატუსი, შესაძლებელია მოეხსნას სტატუსი კანონით დადგენილი წესების დაცვით.

ტყის კოდექსი ითვალისწინებს სახელმწიფო ტყის კერძო საკუთრებაში გადაცემის შესაძლებლობას. კანონმდებელი ამ შემთხვევაშიც გამოდის ტყის მდგრადი მართვის ინტერესებიდან და ასეთ შესაძლებლობას უშვებს, თუ კი არსებობს დასაბუთებული საფუძველი, რომ მიღწეული იქნება ტყის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური

ფუნქციების განსახორციელებლად ტყის მნიშვნელოვანი თვისებებისა და რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების გაუმჯობესება. სახელმწიფო ტყის კერძო საკუთრებაში გადაცემის საკითხს აწესრიგებს საქართველოს კანონი „ტყის განსახელმწიფოებრიობის შესახებ“, რომლის გამოცემის ვალდებულებაც გათვალისწინებულია ტყის კოდექსის პროექტში.

მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ტყის სფეროში და საზოგადოების ჩართულობა

საქართველოს ტყის კოდექსის პროექტის მიზანი, მიიღწეს ტყის მდგრადი მართვის ინტერუმენტების დანერგვა საქართველოს რეალობაში, შესაძლებელია პროცესში საზოგადოების აქტიური მონაწილეობის შედეგად. ტყის კოდექსი ადგენს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ვალდებულებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით შეიმუშავოს სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროგრამები საქართველოს მოსახლეობის ინფორმირების მიზნით ტყისა და მისი რესურსების მნიშვნელობის შესახებ.

საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს ტყის მართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მიიღოს მონაწილეობა. სწორედ ამ პროცესში აღიარებული და მხარდაჭერილია ტყის მიმდებარე ტერიტორიებზე მოსახლე თემების იდენტურობა და კულტურა, აგრეთვე ტყის მართვის ტრადიციები.

ტყესთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ ტყის მართვის შესახებ ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. ტყის მართვის გეგმა მტკიცდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.

კოდექსის მეორე თავი თავით იმიჯნება ტყის მართვის სფეროში შესაბამისი კომპეტენციები. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს კომპეტენციაა ტყის მართვის სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა. სახელმწიფო ტყის მართვის ორგანოს ადგენს კანონი, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის და თვითმმართველობის დონეზე ტყის მართვის ორგანოები განისაზღვრება შესაბამის დონეზე. ამ თავში ასევე მოცემულია ტყის მართვის ორგანოების და კერძო მესაკუთრის უფლებამოსილებები.

საქართველოს ტყის დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი).

კოდექსის **მესამე თავი** აწესრიგებს ტყის აღრიცხვის და დაგეგმვის საკითხებს.

ტყის მდგრადი მართვის უზრუნველსაყოფად საქართველოს ტყის აღრიცხვის სისტემა შედგება ტყის მონიტორინგის, ტყეთმომწყობისა და რეესტრისაგან.

ტყის კოდექსს შემოაქვს **ტყის მონიტორინგის სისტემა**, რომელიც გულისხმობს საქართველოს ტყის შეფასების, მისი მდგომარეობის დინამიკაზე უწყვეტი დაკვირვების, ანალიზისა და პროგნოზირების სისტემას.

ტყის მონიტორინგის მიზანია საქართველოს ტყის დაცვის, მოვლის, აღდგენა-გაშენების, ტყითსარგებლობისა და ტყეების ეკოლოგიური მდგომარეობის ასახვა, მისი გაუმჯობესების მიზნით სახელმწიფო ორგანოებისათვის ანალიზის შედეგების მიწოდება და საქართველოს მოსახლეობის ინფორმირება.

ტყის მონიტორინგს თავიანთ სამოქმედო ტერიტორიებზე ახორციელებენ ტყის მართვის ორგანოები, მათი ტერიტორიული ერთეულები, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილი დაწესებულებები და ტყითმოსარგებლები.

ტყის მდგრადი მართვის ერთ-ერთი ცენტრალური ინსტრუმენტია **ტყეთმომწყობა**, რომელიც განმარტებულია, როგორც საქართველოს ტყის დაცვის, მოვლის და აღდგენა-გაშენების ღონისძიებების განხორციელებისა და მათი ეფექტიანობის ამაღლების, ტყის რესურსების რაციონალური გამოყენების, აგრეთვე ამ სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარების დაგეგმვა.

ტყეთმომწყობა ხორციელდება ყოველ 10 წელიწადში ერთხელ. ტყეთმომწყობის მასალები აისახება ტყის მართვის გეგმაში, რომელიც არის სატყეო-სამეურნეო სამუშაოების, მათ შორის, ფუნქციური დაგეგმვის და ამ სამუშაოების დაფინანსების სავალდებულო დოკუმენტი.

ტყის მართვის გეგმას ადგენს ტყითმოსარგებლე, რომელიც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამის ორგანოებს წარუდგენს დასამტკიცებლად. ტყის მართვის გეგმის შედგენის

ვალდებულების შესრულებით გამოწვეული შეზღუდვის და კერძო მესაკუთრის ინტერესების შეპირისპირების საფუძველზე, ტყის მართვის გეგმების შედგენის ვალდებულება არ ვრცელდება კერძო ან თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებულ ტყეზე, რომლის ფართობიც არ აღემატება 50 ჰექტარს. ტყის იმ ფართობებზე, სადაც ტყეთმომწყობა არ ჩატარებულა და არ არის შედგენილი ტყის მართვის გეგმა ან/და ღონისძიებებისთვის, რომლებიც არ არის გათვალისწინებული არსებული ტყის მართვის გეგმით, ტყის მართვის ორგანო ატარებს ტყის კოდექსის პროექტით გათვალისწინებულ ტყის სპეციალურ გამოკვლევას. ტყის სპეციალური გამოკვლევა ტარდება:

ა) ტყის კონკრეტულ ტერიტორიაზე ტყის აღდგენის პროექტის შედგენისათვის, აგრეთვე, ტყის პათოლოგიური მდგომარეობის, ტყის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების დადგენისათვის;

ბ) ტყის რესურსების მართვის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად და ტყითსარგებლობის ღონისძიებების ოპერატიულად განხორციელებისათვის.

სპეციალური გამოკვლევის საფუძველზე შესაძლებელია შემუშავდეს მრავალწლიანი (არაუმეტეს 3 წლისა) პერსპექტიული გეგმა. ტყის სპეციალური გამოკვლევის შედეგები აისახება წლიურ სამოქმედო გეგმაში, რომელიც დეტალურად აღწერს წლის განმავლობაში დაგეგმილ ღონისძიებებს.

საქართველოს ტყის რეესტრი წარმოადგენს სისტემატიზირებული დოკუმენტების ჯამურ მასალას, რომელიც შეიცავს ინფორმაციას საქართველოს ტყეზე, ტყითსარგებლობაზე, დაცვაზე და კვლავწარმოებაზე. აღნიშნული ემსახურება ტყის მართვის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. საქართველოს ტყის რეესტრში დაცული ინფორმაცია არის საჯარო. საქართველოს ტყის რეესტრი შეიცავს დოკუმენტურ ინფორმაციას:

ა) ტყის საკუთრების ფორმების შესახებ;

ბ) ტყის კატეგორიებად დაყოფის შესახებ;

გ) სატყეოებისა და ტყის კვარტლების შესახებ;

დ) ტყის და ტყის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შესახებ;

ე) ტყის დაცვის, აღდგენა-გაშენებისა და სარგებლობის შესახებ;

ვ) ტყის საზღვრების შესახებ;

საქართველოს ტყის რეესტრს აწარმოებს სამინისტრო შესაბამისი ტყის მართვის ორგანოების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

საქართველოს ტყის კოდექსის მეოთხე თავი აწესრიგებს ტყითსარგებლობის საკითხებს, რომელიც ემსახურება ტყის მდგრადი მართვის სამართლებრივი ინსტრუმენტების დამკვიდრებას. **ტყითსარგებლობა** არის ზოგადი ტერმინი, რომელიც მოიცავს ტყის საერთო და სპეციალური სარგებლობის ფარგლებში გამოყენებას.

ტყით საერთო სარგებლობის ცნების ქვეშ ექცევა - ტყის ბუნებრივი გარემოთი უსასყიდლო სარგებლობა, რომელიც გულისხმობს პირის უფლებას, იმყოფებოდეს და თავისუფლად გადაადგილდეს ტყეში, პირადი მოხმარების მიზნით შეაგროვოს ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტები და არამერქნული პროდუქტები ხოლო **ტყით სპეციალური სარგებლობის ფარგლებში** ხორციელდება ტყითსარგებლობა, რომელიც არ ექცევა ტყით საერთო სარგებლობის უფლების ფარგლებში, ანუ საჭიროებს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ სანებართვო დოკუმენტს. აღსანიშნავია, რომ კოდექსის პროექტით გათვალისწინებულია ფიჩხით სარგებლობა ტყით საერთო სარგებლობის ფარგლებში.

ტყით საერთო სარგებლობა უზრუნველყოფს ადამიანების არსებობისათვის ტყის მნიშვნელოვანი ფუნქციის ხელმისაწვდომობას. აღნიშნული უფლება გულისხმობს ყველა ადამიანის უფლებას, იმყოფებოდეს და თავისუფლად გადაადგილდეს ტყეში დასვენების და გართობის მიზნით. ეს უფლება არ მოიცავს ტყის იმ რესურსებით სარგებლობას, რომლისთვისაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია შესაბამისი უფლების მოპოვების ვალდებულება.

შესაძლებელია, რომ შეიზღუდოს ტყეში შესვლის ან/და გადაადგილების უფლება ტყის მესაკუთრის ან მართვის ორგანოს გადაწყვეტილებით მხოლოდ ტყის კოდექსის პროექტით გათვალისწინებული საფუძვლებით. ტყეში შესვლისა და გადაადგილების შეზღუდვა ექვემდებარება ტერიტორიაზე საინფორმაციო ნიშნების განთავსებით მოწესრიგებას.

ერთი მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების, ხოლო მეორე მხრივ, ტყეში გადაჭარბებული ძოვების (გადაძოვების) პრაქტიკით გამოწვეული უარყოფითი შედეგების გათვალისწინებით, კოდექსი ადგენს სახელმწიფო და მუნიციპალურ

ტყეში საქონლის საძოვებლად შესაბამისი ტერიტორიების გამოყოფის ვალდებულებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტყის ფუნქციური დანიშნულებისა და მდგომარეობის გათვალისწინებით ეს შეუძლებელია. ტყეში საქონლის ძოვების ადგილების გამოყოფა და კვოტების დადგენა ხორციელდება ტყის მართვის გეგმის საფუძველზე. საქონლის ძოვებისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს შესაბამისი საინფორმაციო ნიშანი.

ტყეში დასვენებისა და გართობის ინტერესის შესაბამისად ტყეში ცეცხლის დანთება დასაშვებია საამისოდ გამოყოფილ სპეციალურ ადგილებში, სადაც უნდა განთავსდეს შესაბამისი საინფორმაციო ნიშანი.

ტყის კოდექსის პროექტი უშვებს მართვის ორგანოს მიერ ტყის გაწმენდის მიზნით ტყის მავნებელი დაავადებებით დაზიანებული ხეების მოჭრითა და გაქერქვით მიღებული მერქნული რესურსების ნარჩენების დაწვას ტყის მიწის ფარგლებში. აღნიშნული არის საგამონაკლისო დაშვება, როდესაც ამას ითხოვს ტყის მავნებელი დაავადებებისაგან დაცვის უპირატესი ინტერესები. აღნიშნული ნებადართულია იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს საფუძველი დასკვნისთვის, რომ შერჩეული ტერიტორია, სადაც ეს ღონისძიება არ შეუქმნის საფრთხეს ტყეს, არ გააუარესებს ნიადაგის ხარისხს ან არ შექმნის ტყეში ხანძრის გაჩენის საშიშროებას.

ტყით საერთო სარგებლობის უფლება გულისხმობს ტყეში ტყის არამერქნული პროდუქტებისა და ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტების თავისუფალ ხელმისაწვდომობას პირადი მოხმარების მიზნით იმ მოცულობით, რაც აუცილებელია მოსახლეობის სოციალური ინტერესების და ტყის საერთო სარგებლობის უფლების რეალიზაციისთვის.

ტყით საერთო სარგებლობის უფლება მოიცავს ამ უფლებით მოსარგებლე პირის ვალდებულებას, გაუფრთხილდეს ტყეს და დაიცვას მისი სიმდიდრე, ხოლო ისეთი ქმედების გამოვლენის შემთხვევაში, რომელიც აზიანებს ბუნებრივ გარემოს, აცნობოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. დაუშვებელია ტყით საერთო სარგებლობის უფლების მქონე პირის მიერ საკუთარი ინიციატივით ტყეში ინვაზიური ან/და გენეტიკურად მოდიფიცირებული სახეობების შეტანა, შხამ-ქიმიკატებისა და ტყის დაცვის სხვა საშუალებების გამოყენება.

საქართველოს ტყის კოდექსის პროექტის **მეხუთე თავი** აწესრიგებს ტყის სპეციალური სარგებლობის საკითხებს. განსაზღვრულია ტყითსარგებლობის სახეები, რომლებიც ხორციელდება ტყის მდგრადი მართვის ინტერესების გათვალისწინებით. ტყის მერქნითი რესურსების არასწორი და უკანონო ექსპლუატაცია სერიოზული საფრთხის ქვეშ აყენებს ტყის მდგრადობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, დადგენილია ვალდებულება, რომ ტყითსარგებლობა ემყარებოდეს დაგეგმვას. ტყითსარგებლობის დაგეგმვისთვის დგება ტყის მართვის ან/და წლიური სამოქმედო გეგმა. ტყითსარგებლობის დაგეგმვისას უპირატესობა ენიჭება გრძელვადიან ტყითსარგებლობას და კომპლექსურ ტყითსარგებლობას, რომელიც ერთდროულად ითვალისწინებს რამოდენიმე სახის ტყითსარგებლობას. ტყითსარგებლობის დაგეგმვისას რეკომენდირებული უნდა იქნეს ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც არ აზიანებს გარემოსა და ბიომრავალფეროვნების მდგრადობას, ცხოველთა სამყაროს, ისტორიულ-კულტურულ და ბუნების ძეგლებს.

ტყის კოდექსით გათვალისწინებული ტყითსარგებლობის ყველა სახე დასაშვებია სამეურნეო ტყეში. დაცულ ტყეში დაუშვებელია ტყითსარგებლობის განხორციელება, გარდა ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და არამერქნული პროდუქტების დამზადებისა და სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მიზნით სარგებლობისა. საკურორტო და სარეკრეაციო, აგრეთვე, დაცვით ტყეებში დასაშვებია ტყითსარგებლობის ყველა სახე გარდა მერქნის დამზადებისა. ტყეში სამონადირეო და თევზჭერის მეურნეობის მოწყობის სამართლებრივი მოწესრიგება ხდება ნადირობის და თევზჭერის მომწესრიგებელი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე.

აკრძალულია ტყით სპეციალური სარგებლობა სანებართვოდოკუმენტის გარეშე. ტყით სპეციალურ სარგებლობას ახორციელებს ტყის მართვის ორგანო. კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსების, განსაკუთრებული დანიშნულებით და სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მიზნით ტყითსარგებლობა ხორციელდება ტყის მართვის ორგანოს მიერ დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად. ფიზიკური პირების მიერ ხე-ტყის დამზადება ხორციელდება ტყის მართვის ორგანოს მიერ გაცემული ბილეთის საფუძველზე.

ტყის კოდექსის **მეექვსე თავი** აწესრიგებს სპეციალური სარგებლობის ერთ-ერთ სახეს მერქნის დამზადებას, რომელიც არის ტყითსარგებლობის ღონისძიება მერქნის მოპოვების მიზნით.

მერქნის მოპოვების მიზნით სამეურნეო ჭრა ხორციელდება, თუ უზრუნველყოფილია მერქნის თანაბარი და უწყვეტი მოპოვების პირობები ტყის სასარგებლო ბუნებრივი თვისებებისათვის ზიანის მიუყენებლად.

ტყის რესურსით სარებლობის ინტერესის გათვალისწინებით, კოდექსი უშვებს მერქნის დამზადების მიზნით ჭრას, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფილია მერქნის თანაბარი და უწყვეტი მოპოვების პირობები ტყის სასარგებლო ბუნებრივი თვისებებისათვის ზიანის მიუყენებლად.

მერქნის დამზადების მიზნით ჭრა ხორციელდება ტყის სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციების შენარჩუნების უზრუნველყოფით, კერძოდ:

ა. მწიფე და მწიფეზე უხნეს კორომებში. ძირითადად იჭრება მწიფეზე უხნესი ხეები, რაც ხელს უწყობს კორომის გაახალგაზრდავებას (გაჯანსაღებას);

ბ. 36 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე, სადაც ხე-ტყის დამზადებისას სიხშირე არ შეიძლება დაყვანილი იყოს 0,5-ზე ქვემოთ.

საქართველოს ტყეებში მერქნის მოპოვება ხდება ტყის განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე ამორჩევითი ჭრის მეთოდის გამოყენებით. ტყიდან მიღებული მერქნის მოცულობა ჭრის განმეორების პერიოდის გათვალისწინებით არ უნდა აღემატებოდეს ტყისშემატებას.

კოდექსი ასევე უშვებს პირწმინდა ჭრას, რაც გულისხმობს ტყის განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე არსებულ მერქნიან სახეობათა ხეების ერთდროულ (პირწმინდა) მოჭრას, რომელიც ხორციელდება კოლხეთის დაბლობის ტყეებში და პლანტაციურ მეურნეობაში კოდექსით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

მერქნის დამზადება ხდება საანგარიშო ტყეკაფის ფარგლებში, რისი გაზრდა ან შემცირება დაიშვება სამინისტროს მიერ ტყეთმომწოდის მასალების, ტყეების დაცვის რეჟიმის, კატეგორიების და სხვა ისეთი პირობების შეცვლისას, რომლებიც გავლენას ახდენს ტყეების მდგომარეობაზე.

ტყის მართვის ორგანო ხე-ტყის დამზადებას ახორციელებს ტყის მართვის ინტერესებიდან გამომდინარე ამ კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

კოდექსი გარდამავალ პერიოდში ითვალისწინებს ხე-ტყის დამზადებას ბილეთის საფუძველზე, რომელიც გაიცემა ფიზიკური პირების ინდივიდუალური სოციალური ინტერესების გათვალისწინებით ტყის მართვის ორგანოს მიერ გამოყოფილი კონკრეტული ტყეკაფის ფარგლებში. ხე-ტყის დამზადების ბილეთი არის ტყის მართვის ორგანოს მიერ მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე სახელობით გაცემული დოკუმენტი, რომელიც მის მფლობელს ანიჭებს ხე-ტყის დამზადების უფლებას.

ტყის კოდექსის **მეშვიდე თავით** მოწესრიგებული სპეციალური სარგებლობა პლანტაციური მეურნეობის მოწყობის მიზნით შეიძლება განხორციელდეს ტყის მართვის ორგანოს მიერ ტყის მართვის ინტერესებიდან გამომდინარე, ტყის კოდექსის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. პლანტაციური მეურნეობის მოწყობის მიზანია გრძელვადიანი ტყითსარგებლობის უფლების ფარგლებში ტყის მიწაზე მერქნიან სახეობათა გაშენების გზით ეროზიული და მეწყერული პროცესების შეჩერება, ტყის ენერგეტიკული პოტენციალის გაზრდა და ბუნებრივ ტყეზე ზიანის მიუყენებლად მერქნული რესურსებისა და მერქნიანი მცენარეების პროდუქტების მოპოვება.

პლანტაციური მეურნეობისთვის ფართობის შერჩევა ხდება ტყის მართვის ორგანოს მიერ ტყის მართვის ან/და წლიური სამოქმედო გეგმის საფუძველზე. ტყის მართვის ორგანო ადგენს პლანტაციური მეურნეობის მოწყობის პროექტს და პერსპექტიულ გეგმას, რომელიც დგება „ტყის დაცვის, აღდგენისა და მოვლის წესის შესახებ“ დებულების საფუძველზე.

ტყის კოდექსის **მერვე თავი** აწესრიგებს ტყის მართვის ორგანოს მიერ ტყის მართვის ინტერესებიდან გამომდინარე ტყის სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობის საკითხს. სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა გულისხმობს ტყის მიწების გამოყენებას სათიბად, სახნავად, ფუტკრის და პირუტყვის დროებითი სადგომებისა და სხვა დამხმარე სათავსოს მოსაწყობად, აგრეთვე, ტყეში არსებული ბაღებითა და ვენახებით სარგებლობას. სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა ხორციელდება იმ ფორმებითა და მეთოდებით, რომლებიც არ იწვევს მერქნიანი მცენარეების დაზიანებასა და ეროზიულ მოვლენებს.

სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობისათვის ფართობის შერჩევა ხდება ტყის მართვის ორგანოს მიერ ტყის მართვის ან/და წლიური სამოქმედო გეგმის საფუძველზე.

ტყის კოდექსის მეცხრე თავი ეხება ტყის არამერქნული პროდუქტებისა და მერქნიანი მცენარეების პროდუქტების დამზადების მიზნით ტყითსარგებლობის მოწესრიგებას. ტყის სპეციალური სარგებლობის ეს სახე ხორციელდება ტყის მართვის ორგანოს მიერ ტყის მართვის ინტერესებიდან გამომდინარე ამ კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

ტყის არამერქნული პროდუქტებისა და მერქნიანი მცენარეების პროდუქტების დამზადების მიზნით ტყითსარგებლობა გულისხმობს რესურსების ხელმისაწვდომობას კომერციული მიზნით. ტყითსარგებლობის მიზანი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ტყის მდგრადი მართვის ინტერესებს.

ტყის არამერქნული პროდუქტებისა და მერქნიანი მცენარეების პროდუქტების დამზადების მიზნით ტყის ფართობის შერჩევა ხდება ტყის მართვის ორგანოს მიერ ტყის მართვის ან/და წლიური სამოქმედო გეგმის საფუძველზე.

ტყის კოდექსის მეთათე თავი აწესრიგებს ტყის საკურორტო, სარეკრეაციო, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით სარგებლობის საკითხს. აღნიშნული მოიცავს ამ უფლების განსახორციელებლად აუცილებელი შენობა-ნაგებობების, მათ შორის, კვების ობიექტების და დამხმარე სათავსების აშენებას, მოწყობილობებისა და სპორტული ინვენტარის დამონტაჟებას შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული სანებართვო დოკუმენტის საფუძველზე.

საკურორტო, სარეკრეაციო, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით სარგებლობა ხორციელდება პერსპექტიული გეგმის საფუძველზე. ტყის ფართობის შერჩევა ხდება ტყის მართვის ორგანოს მიერ ტყის მართვის ან/და წლიური სამოქმედო გეგმის საფუძველზე.

კოდექსის პროექტის მეთერთმეტე თავით მოწესრიგებული საქმიანობა ხორციელდება ცხოველთა სახეობების შენარჩუნების ან გამრავლებისა და შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

თავშესაფრისა და სანაშენე მეურნეობის მოწყობისათვის ტერიტორიის შერჩევა ხდება ისე, რომ სარგებლობამ არ გამოიწვიოს ტყის მნიშვნელოვანი დაზიანება, ხოლო მოსაშენებელ ცხოველთა სახეობამ არ უნდა მოახდინოს ტყის ეკოსისტემაზე უარყოფითი ზემოქმედება. იკრძალება ინვაზიური სახეობების გამოყენება.

ფართობის შერჩევა არ უნდა მოხდეს ტერიტორიაზე, სადაც აუცილებელი გახდება ხის (ხეების) მოჭრა 1 ჰექტარზე 20 კუბურ მეტრზე მეტი ოდენობით; დასაშვებია ბუჩქნარისა და ქვეტყის პირწმინდად ჭრა ფართობის 20%-მდე. ფართობის შერჩევა ხდება ტყის მართვის ორგანოს მიერ ტყის მართვის ან/და წლიური სამოქმედო გეგმის საფუძველზე.

ტყის კოდექსის პროექტის **მეთორმეტე თავი** უშვებს კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსებას ტყეში კავშირგაბმულობის სისტემის გაფართოებისა და სრულყოფისათვის.

ფართობზე კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობების განთავსებამ არ უნდა გამოიწვიოს ტყისთვის ზიანის მიყენება.

ფართობის შერჩევა არ უნდა მოხდეს ტერიტორიაზე, სადაც კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსებისათვის აუცილებელი გახდება ხის (ხეების) მოჭრა 1 ჰექტარზე 20 კუბურ მეტრზე მეტი ოდენობით. თუ აღნიშნული ნაგებობის განთავსებისთვის სხვა ფართობის ალტერნატივა არ არსებობს, დასაშვებია ბუჩქნარისა და ქვეტყის პირწმინდად მოჭრა არაუმეტეს ფართობის 20%-ისა.

ადმინისტრაციული წარმოება კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსების მიზნით ტყითსარგებლობის უფლების მისანიჭებლად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე იწყება დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე.

ტყის მართვის ორგანოსა და დაინტერესებულ პირს შორის იდება ადმინისტრაციული ხელშეკრულება. ხელშეკრულების დადების წესს ადგენს „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულება.

ტყის კოდექსის **მეცამეტე თავით** მოწესრიგებული განსაკუთრებული დანიშნულებით ტყითსარგებლობა ხორციელდება შემდეგი მიზნებისათვის:

ა) ჰიდროკვანძების, მილსადენების, გზების, ენერგო გენერაციის ობიექტების, ელექტროგადამცემი კომუნიკაციების, არხების ფუნქციონირებისათვის, მშენებლობისათვის, რეკონსტრუქციისათვის (რეაბილიტაციისათვის) ან დემონტაჟისათვის ან ამისათვის საჭირო საპროექტო ან/და საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოებისათვის;

ბ) ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებისა და წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციისათვის;

გ) წიაღის შესწავლის ან/და მოპოვებისათვის;

დ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეკონსტრუქციისათვის (რეაბილიტაციისათვის), არქეოლოგიური სამუშაოების, არქეოლოგიური დაზვერვის, არქეოლოგიური გათხრების წარმოებისათვის;

ე) ნავთობისა და გაზის ოპერაციების ჩასატარებლად;

ვ) სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის ან ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების შეზღუდვის ან მათი დაზიანების საფრთხის არსებობისას.

ტყის განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობის უფლების მინიჭების განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილებას საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით იღებს სამინისტრო. ადმინისტრაციულ წარმოებაში სხვა ადმინისტრაციული ორგანოს და დაინტერესებული მხარის ჩართვას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დაცვით უზრუნველყოფს სამინისტრო. სამინისტროს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეგზავნება განმცხადებელს და ტყის მართვის ორგანოს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე მართვის ორგანო დაინტერესებულ პირთან დებს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას ტყის ფონდით განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობის თაობაზე. ხელშეკრულების სტანდარტულ ფორმას ადგენს დებულება „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“.

განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობის უფლების ფარგლებში ხე-ტყის დამზადების აუცილებლობის შემთხვევაში ხის (ხეების) მოჭრა (სპეციალური ჭრებით ხე-ტყის დამზადება), ტრანსპორტირება და რეალიზაცია ხორციელდება ტყის მართვის ორგანოს მიერ დაინტერესებული მხარის დაფინანსებით, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

ტყის კოდექსის მეთოთხმეტე თავით მოწესრიგებული ტყის სამეცნიერო კვლევითი და სასწავლო მიზნით სარგებლობა გულისხმობს საქმიანობის განხორციელებას სამეცნიერო და პედაგოგიური ავტონომიურობის და აკადემიური პატიოსნების პრინციპის დაცვით. ტყის

მართვის ორგანოს მხრიდან აღნიშნული საქმიანობის შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ საქართველო კანონმდებლობის საფუძველზე ტყის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე.

სამეცნიერო კვლევითი და სასწავლო მიზნით სარგებლობა ხორციელდება ტყისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

საქართველოს ტყის კოდექსის მოწესრიგების სფეროს ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია საქართველოს ტყის დაცვის მოწესრიგება, რომელსაც ეხება კოდექსის **მეთხუთმეტე თავი**. ტყის დაცვის ღონისძიებების განსაზღვრა ემსახურება ტყის ძირითადი ფუნქციების შესრულების უზრუნველყოფას. ტყის დაცვა გულისხმობს მის დაცვას ხანძრებისგან, მავნებლებისა და დაავადებებისაგან, ტყითსარგებლობისა და სხვა ღონისძიებების განხორციელების დადგენილი წესების დარღვევებისაგან, უკანონო ჭრებისგან, სანიტარიული მდგომარეობის გაუარესებისაგან და სხვა უარყოფითი ანთროპოგენური ზემოქმედებისაგან.

ტყის დაცვის ღონისძიებები არის ტყის მართვის გეგმის შემადგენელი ნაწილი. ტყის დაცვის ღონისძიებებს გეგმავს და ახორციელებს ტყის მართვის ორგანო ან მისი ზედამხედველობით შესაბამისი პირები.

ტყის მდგომარეობის, ტყის ფუნქციური დანიშნულების და სხვა ღირებულებების მიხედვით დგინდება ტყის დაცვის საერთო ან განსაკუთრებული რეჟიმი.

დაცული და კოსერვაციული, საკურორტო და სარეკრეაციო, აგრეთვე დაცვითი კატეგორიის ტყეზე ვრცელდება დაცვის განსაკუთრებული დაცვის რეჟიმი. აკრძალულია სამეურნეო ჭრები და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირველი და მე-2 კატეგორიის საქმიანობა.

სამეურნეო კატეგორიის ტყეებზე ვრცელდება დაცვის საერთო რეჟიმამ კოდექსით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესები.

ტყის კოდექსის **მეთექვსმეტე თავით** წესრიგდება ტყის აღდგენა-გაშენების საკითხები. ის ტყის მდგრადი მართვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც არის სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა მრავალწლიანი ციკლი, რომლის მიზანია ნიადაგის დაცვა ქარისმიერი, წყლისმიერი და სხვა ეროზიული პროცესებისგან, აგრეთვე ტყის სახეობრივი შემადგენლობის, პროდუქტიულობის, დაცვითი და სხვა სასარგებლო ფუნქციების გაუმჯობესება ტყით

დაუფარავ ფართობებზე, დაბალი სიხშირისა და წარმადობის კორომებში ტყის აღდგენა-გაშენების გზით.

ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებებს, არსებული საშუალებების გათვალისწინებით, ტყის მართვის გეგმის ან/და სპეციალური გამოკვლევის საფუძველზე ყოველწლიურად გეგმავს ტყის მართვის ორგანო. აღნიშნული გეგმის საფუძველზე კონკრეტული ტერიტორიისთვის დგება ტყის აღდგენა-გაშენების პროექტი.

ტყის აღდგენა-გაშენების მიზნით შეიძლება შემუშავებული იქნეს სპეციალური სახელმწიფო პროგრამა.

ტყის აღდგენა-გაშენების პროექტს ამტკიცებს და მის განხორციელებაზე კონტროლს ახორციელებს ტყის მართვის ორგანო.

ტყის აღდგენა-გაშენება ხორციელდება თესვით, დარგვით ან/და ბუნებრივი განახლების ხელშეწყობით. ტყის ფართობების დეგრადაციის შეჩერებისა და მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილებისთვის, ტყის აღდგენა-გაშენებისთვის საჭირო ქმედებები ხორციელდება არაუგვიანეს სამი კალენდარული წლისა, მას შემდეგ, რაც ბუნებრივი, ანთროპოგენური პროცესების ან/და უკანონო ქმედების შედეგად წარმოიშვა ტყის გამეჩხერებული ადგილები ან/და ღია ფართობები. ფართომასშტაბიანი ზიანის (5 ჰექტარი და მეტი) პირობებში, როდესაც შეუძლებელია ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებების განხორციელება სამი კალენდარული წლის პერიოდში, ტყის აღდგენა-გაშენების ვადის ათვლა დაიწყება იმ დროიდან, როდესაც დასრულდება ფართომასშტაბიანი ზიანის გამომწვევი გარემოებების ზემოქმედება და გაიწმინდება აღსადგენი ტერიტორია.

თუ ტყის განახლება მიმდინარეობს ბუნებრივი მოთესვით ან ამონაყრით, რაც პერსპექტივაში წარმოშობს საფუძველს, რომ აღსადგენი ტერიტორია გატყვევდება, ტყის აღდგენა უნდა განხორციელდეს ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის გზით.

ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებები ჩაითვლება დასრულებულად, თუ აღსადგენ ფართობზე არსებობს მოზარდ-აღმონაცენის ან/და ნერგების შესაბამისი რაოდენობა და არ არსებობს მათი ზრდა-განვითარებისთვის შემაფერხებელი გარემოება.

ტყის აღდგენა-გაშენების გზით მაღალპროდუქტიული, მიზნობრივი ტყეების ან/და პლანტაციების შექმნის საფუძველს წარმოადგენს სატყეო მეთესლეობა.

უნდა განხორციელდეს ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ტყის მერქნიანი სახეობების თესლების დამზადებას, გადამუშავებას, შენახვას, რეალიზაციასა და გამოყენებას.

ტყის კოდექსის **მეჩვიდმეტე თავი** ადგენს ტყის მოვლის ღონისძიებებს, რომლის მიზანია ტყის ფუნქციების შენარჩუნება და გაუმჯობესება. ტყის მოვლის ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია ტყის მართვის ორგანო.

ტყის კორომთა ხნოვანების, ფუნქციური დანიშნულებისა და მდგომარეობის მიხედვით ხორციელდება მოვლითი ღონისძიებები, რომელიც მოიცავს მოვლით, სანიტარიულ და სარეკონსტრუქციო ჭრებს.

მოვლითი ჭრები ხორციელდება 0,7 და მეტი სიხშირის მომწიფარ ხნოვანებამდე კორომებში და მიზნად ისახავს შესაბამისი ხეების ამორჩევით მოჭრის შედეგად განსაზღვრული ადგილისთვის დამახასიათებელი ძვირფასი და მეურნეობისთვის სასურველი სახეობის ხეების ფართობის ერთეულზე თანაბარ განაწილებას, მათთვის განათების უზრუნველყოფას, აგრეთვე, ღეროსა და ვარჯის სრულყოფილად ფორმირებისთვისა და მერქნის შემატების ზრდისთვის პირობების შექმნას (გაუმჯობესებას).

სანიტარიული ჭრა არ განეკუთვნება ტყის სისტემურ ჭრებს, ის სატყეო-სამეურნეო ღონისძიებაა, რომლის მიზანია ტყის სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება და გულისხმობს განსაზღვრულ ტერიტორიაზე და დადგენილ ვადებში ხმელი, ძლიერ ფაუტი (ფუტურო) და მავნებლებით ძლიერ დაზიანებული ხეების მოჭრას და ტყიდან გამოტანას, აგრეთვე, სტიქიის შედეგად მოთხრილი და მოტეხილი ხეების ტყიდან გამოტანას.

სანიტარიული ჭრების ჩატარებისას თუ მოსალოდნელია კორომის სიხშირის 0,3-ზე დაბლა დაყვანა, ჭრა დაიშვება მხოლოდ განსაკუთრებული აუცილებლობისას, სათანადო დასაბუთების საფუძველზე და კომპლექსური ღონისძიებების გატარების შემთხვევაში.

სარეკონსტრუქციო ჭრა ხორციელდება განსაზღვრული ადგილისათვის ნაკლებადღირებული და დაბალი წარმადობის კორომებში მათი სახეობრივი და სტრუქტურული შემადგენლობის, აგრეთვე პროდუქტიულობის გაუმჯობესების მიზნით და ითვალისწინებს არასასურველი ხეების ან/და მარადმწვანე ქვეტყის მოჭრას, ჭრის შედეგად გათავისუფლებულ ფართობზე ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობას ან/და ტყის კულტურების გაშენებას.

რეკრეაციული დანიშნულების ტყეებში სარეკონსტრუქციო ჭრები შეიძლება განხორციელდეს ლანდშაფტის (ღია, დახურული, ნახევრად დახურული) ფორმირებისთვის.

ტყის კოდექსის მეთვრამეტე თავი ტყის მართვის ორგანოს ავალდებულებს უზრუნველყოს ტყის მართვაში მეტყევის და სატყეო საქმის სპეციალისტის სტატუსის მქონე პირების სავალდებულო მონაწილეობა.

მეტყევე არის პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და საქართველოს შრომითი კანონმდებლობის საფუძველზე იმყოფება შრომით ურთიერთობაში ტყის მართვის ორგანოსთან.

უფლებამოსილი პირის მიერ მეტყევის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა აისახოს მეტყევის სამოქმედო ტერიტორია და მისი უფლებამოსილებები.

სატყეო საქმის სპეციალისტიარის პირი, რომელიც მეტყევის ზედამხედველობის ქვეშ ახორციელებს სამუშაოებს ტყის დაცვის, აღდგენისა და მოვლის მიზნით, აგრეთვე ახორციელებს ტყის მერქნული (ხე-ტყის) და არამერქნული პროდუქტების, ასევე ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტების დამზადებას.

მეტყევეს და სატყეო საქმის სპეციალისტს საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისას უნდა ეცვას შესაბამისი სპეციალური ტანსაცმელი.

მეტყევის და სატყეო საქმის სპეციალისტის სამსახურებრივი ტანსაცმლისათვის წაყენებული სპეციალური მოთხოვნები და შრომის უსაფრთხოების წესები დგინდება მინისტრის დებულებით „ტყეში დასაქმებულ პირთა სამსახურებრივი ტანსაცმლის ფორმის დადგენის შესახებ“, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის შემთხვევაში - ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მეტყევე შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფილის უმაღლესი განათლება (სულ მცირე ბაკალავრის აკადემიური ხარისხი).

სატყეო საქმის სპეციალისტი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი ფორმალური ან არაფორმალური პროფესიული განათლება.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები დგინდება ტყის კოდექსით, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონით და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

მეტყვევის და სატყეო საქმის სპეციალისტის რანგირებას და შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ადგენს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო დებულებით „ტყეში დასაქმებული პირების თანამდებობათა რანგირებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის შესახებ“, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის შემთხვევაში - ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული დებულება.

მეტყვევების სტიმულირების ღონისძიებაა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით „საქართველოს დამსახურებული მეტყვევის“ წოდების მინიჭება. იმ პირების მიმართ, რომელთაც ტყის სფეროში 10 წლის და მეტი ვადის სამუშაო გამოცდილება აქვთ, სტიმულირების ღონისძიებას წარმოადგენს „წარმატებული მუშაობისათვის სპეციალური სამკერდე ნიშნით დაჯილდოება“. ტყის სფეროში დასაქმებული სხვა პირების მიმართ შესაძლებელია გამოყენებული იყოს სტიმულირების ღონისძიება - მადლობის გამოცხადება.

საქართველოში „მეტყვევის პროფესიული დღის“ გამოცხადებისა და ტყის სფეროში დასაქმებულ პირთა სტიმულირების წესი განისაზღვრება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანებით.

ტყის კოდექსის **მეცხრამეტე თავი** აწესრიგებს საქართველოს ტყის კოდექსის დარღვევისთვის პასუხისმგებლობის განსაზღვრის წესს, რომელიც აკეთებს დათქმას საქართველოს შესაბამის კანონმდებლობასთან.

სამართალდამრღვევისთვის იურიდიული პასუხისმგებლობის დაკისრება არ ათავისუფლებს მას ტყისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან. ზიანის ანაზღაურების საფუძვლები და წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

ტყის კოდექსის **მეოცე თავით** განსაზღვრული გარდამავალი დებულებები აღწერს საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალს, რომელიც უნდა გამოიცეს და კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებულ განსახორციელებელ ღონისძიებებს, ასევე ტყითსარგებლობის ლიცენზიებისა და მიჩენის მიზნით დადებული ხელშეუკრულებების გარდამავალ რეგულირებას.

ტყის კოდექსი **ოცდამეერთე თავი** ადგენს, რომამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს კანონი „ტყის კოდექსი“ და საქართველოს კანონი „ტყის ფონდის მართვის შესახებ“.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი გრანტები.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. კანონპროექტის 21-ე მუხლით გათვალისწინებულია ტყის მართვის ორგანოს მიერ კერძო სამართლის იურიდიული პირის შექმნა, რომლის მეშვეობითაც ტყის მართვის ორგანოს საშუალება ექნება არსებითად გადავიდეს სამეწარმეო საქმიანობაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ერთი მხრივ, ტყის მართვის ორგანოს მიეცემა საკუთარი შემოსავლების ზრდისა და მიღებული შემოსავლების სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელებისათვის რეინვესტირების შესაძლებლობა, ხოლო, მეორე მხრივ, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ზრდას დადებითი ეფექტი ექნება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. საწყის ეტაპზე, კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ სხვადასხვა საგადასახადო შემოსავლების სახით ნაერთ ბიუჯეტში განხორციელდება დაახლოებით 3-4 მლნ ლარის მიმართვა, რომლის მოცულობასაც საშუალოვადიან პერიოდში ექნება მზარდი ხასიათი და 2018-2020 წლებისათვის დაახლოებით 5-6 მლნ ლარს მიაღწევს. მოცემული შემოსავლების ფორმირება ძირითადად განხორციელდება ხე-ტყის (სამასალე და საშეშე მერქანი)დამზადება-რეალიზაციის შედეგად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კანონპროექტის მიღებით იზრდება დამატებითი შემოსავლების მიღების პოტენციალი ტყითსარგებლობის შემდეგი სახეობებიდან: არამერქნული პროდუქტებისა და მერქნიანი მცენარეების პროდუქტების დამზადება-რეალიზაცია, სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა, საკურორტო, სარეკრეაციო და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით სარგებლობა და სხვა. ტყითსარგებლობის აღნიშნული ალტერნატიული სახეობებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა დაახლოებით 2 მლნ ლარს უტოლდება.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. ტყის მართვის ორგანოს მიერ კანონპროექტით გათვალისწინებული უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების ეფექტურად შესრულებისათვის, ტყის რესურსით ეფექტურად და შეუფერხებლად სარგებლობისათვის კანონპროექტის ამოქმედებიდან საჭირო იქნება შესაბამისი ფინანსური სახსრების გამოყოფა სრული ტყეთმომწეობის ჩასატარებლად საქართველოს ყველა ტყეში. მოცემული მიმართულებით გასაწევი ხარჯების მოცულობა დამოკიდებული იქნება ყოველწლიურად ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობაზე. საწყის ეტაპზე, დაგეგმილია 100-120 ათას ჰა-ზე ტყეთმომწეობის ჩატარება, რომლის ღირებულებაც დაახლოებით 1.5 მლნ ლარს გაუტოლდება. იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი კანონმდებლობის პირობებში აღნიშნული მიმართულებით 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა 500 ათასი (2014წ. -1,000 ათასი ლარი, 2015წ. - 800 ათასი ლარი)ლარი, კანონპროექტის მიღება გაზრდის საბიუჯეტო ხარჯებს დაახლოებით 1 მლნ ლარით.

ტყის მართვის ორგანოს მიერ კერძო სამართლის იურიდიული პირის შექმნა არ გამოიწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდას, ვინაიდან კერძო სამართლის იურიდიული პირის საწყისი კაპიტალით (ფულადი და არაფულადი სახით) უზრუნველყოფა განხორციელდება ტყის მართვის ორგანოს საკუთარი სახსრებიდან. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ საშემოსავლო ნაწილში მისაღები სახსრების გეგმაზომიერად მიღების პირობებში, თანდათანობით შემცირდება ტყის მართვის ორგანოს დამოკიდებულება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებზე.

კანონპროექტით ტყის მართვის ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს ტყის მართვაში მეტყვევისა და სატყეო საქმის სპეციალისტის სტატუსის მქონე პირების მონაწილეობა. შესაბამისი კვალიფიციური კადრების სიმცირიდან გამომდინარე, აუცილებელი იქნება უკვე დასაქმებული კადრების გადამზადება, რაც ზეგავლენას მოახდენს საბიუჯეტო ხარჯებზე. ამასთანავე, საჭირო იქნება ახალი კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისათვის სასწავლო ცენტრებში შესაბამისი სასწავლო პროგრამების შემუშავება და მოცემულ სასწავლო პროგრამებზე სახელმწიფოს მხრიდან სწავლის საფასურის დაფინანსება. სწავლის საფასურის სრულად დაფინანსების შემთხვევაში წლიური საბიუჯეტო ხარჯი დაახლოებით 50,000-100,000 ლარს შეადგენს და დამოკიდებული იქნება სასწავლო პროგრამებზე სწავლის

მსურველთა რაოდენობაზე. შესაბამისი კვალიფიციური კადრების არსებობის პირობებში ტყის მართვის ორგანოს შესაძლებლობა ექნება ეფექტურად შეასრულოს კანონპროექტით დაკისრებული ვალდებულებები და თავისი საქმიანობით მოახდინოს ტყითსარგებლობით მიღებული შემოსავლების მაქსიმიზაცია.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოშობას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობას, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრისპრინციპი:

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე სახის გადასახადს ან მოსაკრებელს. კანონპროექტით განსაზღვრულია ის ნორმატიული აქტები, რომლითაც დარეგულირდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და შესაბამის განმარტებით ბარათებში მოცემული იქნება მათი განსაზღვრის პრინციპები. აღნიშნული ნორმატიული აქტები უნდა გამოიცეს ეტაპობრივად, კანონპროექტის 91-ე მუხლის შესაბამისად.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ ქართველი და უცხოელი ექსპერტები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ე) კანონპროექტის ავტორი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

ვ) კანონპროექტის ინიციატორი: საქართველოს მთავრობა